

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ  
О ГРУЗИИ

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

# СВЕДЕНИЯ ХАСАНА РУМЛУ О ГРУЗИИ

Персидский текст с грузинским переводом и введением издал  
*V. C. ПУТУРИДЗЕ*

Примечаниями снабдил *R. K. КИКНАДЗЕ*

EXCERPTA HISTORIAE HASAN-I RUMLU AD GEORGIAM  
PERTINENTIA

Textum persicum cum versione georgica et introductione edidit  
*V. PUTURIDZE*

Commentarioris instruxit *R. KIKNADZE*

Издательство „Мецннереба“. Sumptibus Academiae Scientiarum Georgiae  
ТБИЛИСИ — 1966 — TBILISIIS

9 [C41+3]

საქართველოს სსრ მიწინის მიმდაბა აკადემია  
საქართველოს უსახელ არხეგზლი უცხოური ფუნკციის პომისი

K 26609  
2

## ჰუსან ჩუბაძეს ცნობები საქართველოს შესახებ

საარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესაფლით გამოსცა  
კლაღიმერ ფუთურიძემ  
შენიშვნები დაუროვნო რევაზ კიკნაძემ



გ ა მ ა მ ა მ ა ლ თ ბ ა „ მ ა მ ა მ ა მ ა მ ა “  
თბილისი—1966

წიგნში ქვეყნლება სპარსული ტექსტი და ქართული თარგმანი XVI საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს ცნობებისა საქართველოს შესახებ. ირანელი ავტორის ამ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს XV—XVI საუკუნეთა საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის დასამუშავებლად.

ჰასან რუმლუ დაწვრილებით აღწერს შპ-თამაზ I-ის შემოსევებს საქართველოში. ავტორი მომსჭრეა ამ შემოსევებისა და პირადად მიუღია მონაწილეობა ყიზილბაშთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ერთ-ერთ ლაშქრობაში. მძღვნად, მისი თხზულება საინტერესო ცნობების შემცველ საუკეთესო პირველწყაროს წარმოადგენს ირან-საქართველოს ურთიერთობა-თა ისტორიის შესასწავლად XVI საუკუნეში.

წავარი რედაქტორი: ი. აგულაძე, ვლ. ვუთუმიშვილი, ს. ყაზბეგიშვილი,  
გ. ჯვრილელი (მთ. რედაქტორი), ს. ჭიძე

სპარსული წყაროების სერიის რედაქტორი

ვლ. ა. დიმირ ფუთურიძე

ს პ რ ჩ მ 8 0

1. რედაქციისაგან	6
2. პასან რუმლუ და მისი „აპსან ათ-თავარიხ“-ი	7
3. პასან რუმლუ, „აპსან ათ-თავარიხ“ (ქართული თარგმანი)	13
4. შენიშვნები ქართული თარგმანისათვის	41
5. საძიებლები	67
6. სპარსული ტექსტი	1

1966 წლის 23 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა თვალ-საჩინო ქართველი მეცნიერი-ირანისტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილების გამგე, საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიის მთავარი რედაქციის წევრი და სპარსული წყაროების სერიის რედაქტორი ვლადიმერ ფუთურიძე.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილისა და პროფესორი ი. ვარის აჩევით, ვ. ფუთურიძემ პარველმა ქართველ საბჭოთა მეცნიერთაგან მოჰკიდა ხელი სპარსულენოვანი საისტორიო მწერლობის ძეგლებიდან საქართველოს შესახებ ცნობების ამოკრებას და თარგმნას. მან მრავალი საისტორიო და გეოგრაფიული თხზულება შეისწავლა, გამოსცა იქიდან ამოკრებილი ცნობები შესაბამისი ქართული თარგმანითა და შენიშვნებით და არა ერთი საყურადღებო ფაქტი თუ მოსაზრება შესძინა ქართულ ისტორიოგრაფიას.

დღესდღეობით ვ. ფუთურიძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული. კერძოდ, განსვენებულ მეცნიერს აზ დასცალდა საბოლოოდ გაემზადებინა დასაბეჭდად წინამდებარე ნაშრომი — „ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ“. მან ვერ მოასწრო ქართული თარგმანის კომენტარის შედგენა. ამის გამო საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ წიგნს დართოდა შენიშვნები, შედგენილი რ. კიკნაძის მიერ.

რედაქციას გამზრანული აქვს მომდევნო წლებში გამოსცეს ვლადიმერ ფუთურიძის სხვა არქეოგრაფიული ნაშრომებიც.

შუა საუკუნეთა სპარსულენოვან წყაროებში უხვი მასალა მოიპოვება როგორც მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების, ისე საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიისათვის. განსაკუთრებით ლირებულია ეს წყაროები მიერკავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად.

XVI—XVII საუკუნეებში საქართველო ორანსა და ოსმალეთს შორის ბრძოლის ასპარეზად იყო გადაქცეული. ამიტომ აღებული ხანის აღმოსავლური წყაროები შეიცავენ დეტალურ ცნობებს ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვისაც. სეფიანთა დინასტიის ბატონინბის ხანაში შეიქმნა მრავალი საისტორიო ნაწარმოები, რომელთა ავტორები მეტწილად თანდამხდეურნი არიან აღწერილი ამბებისა. საქართველოსა და ვასახელოთ XVI ს-ში შედგენილი თხზულებები: ანონიმური „თარიხ-ე შაჰ ისმაილ-ე სეფევი“, ხონდემირის „ჰაბიბ ას-სიუარ“, იაჰია ყაზვინის „ლობ ათ-თავარიზ“, ხორშაჰ იბნ ყობად ალ-ჰოსეინის „თარიხ-ე ილჩი-ე ნეზამ-შაჰ“, ყადი აჰმედ ყაფარის „ნოსახ-ე ჯამან-არა“, ბუდაყ ყაზვინის „ჯავაჰერ ალ-ახბარ“, ჰასან რუმლუს „აჸასან ათ-თავარიზ“, შერეფ-ხან ბითლისის „შერეფ-ნამე“ და ბევრი სხვა, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ გამოცემულიც არ არის და ხელნაწერებიც საკმაოდ იშვიათია. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, ზემოთ დასახელებული სპარსული წყაროები არც საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით არის სათანადოდ შესწავლილი.

სეფიანთა ხანის ისტორიკოსთა შორის თვალსაჩინო აღგილი უჭირავს ჰასან-ბეგ რუმლუს, რომლის საისტორიო ნაწარმოები „აჸასან ათ-თავარიზ“ („უმშვენიერესი ისტორიათაგანი“) საუკეთესო პირველწყაროს წარმოადგენს XVI ს. ირანისა და შეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის.

მართალია, ჰასან რუმლუს ბიოგრაფიას ვერ წარმოვიდგენთ. სათანადო სისრულით მასალის სიმცირის გამო, მაგრამ ზოგად ხა-

ზეგში მაინც შეიძლება მოქაზოთ მისი ცხოვრების გზა. ამის საშუალებას თვით ჰასან-ბეგი გვაძლევს იმ ავტობიოგრაფიული ცნობებით, თავისი ნაშრომში რომ აქვს აქა-იქ მიმონახული.

ჰასან-ბეგ რუმლუ დაიბადა ქალაქ ყუმში ჰიჯრის 938 (1531/2) წელს<sup>1</sup>. დასახელებული წლის ამბებში მას ნათქვამი აქვს: „ამ წიგნის ავტორი ჰასან რუმლუ ამ წელს დაიბადა ქალაქ ყუმში“. მამა ჰასანს აღრე დაუკარგავს. ეს იქიდან ჩანს, რომ 5 წლის ჰასანი დედამ წაიყვანა უფლისწულ ბაპრამ-მირზას შესახვედრად ქალაქ ყაზინში. ჰასანი შეილიშვილი იყო ამირ-სულთან რუმლუსი, რომელიც დაწინაურებული ყოფილა სეფიანი შაჰების ისმაილ I-ისა და თავმასბ I-ის კარზე.

როგორც მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენელი, ჰასან-ბეგი ახალგაზრდობიდანვე ახლოს იდგა შაჰის კართან და აღზრდა-განათლებაც შესაფერისი უნდა მიეღო. ათი წლისში<sup>2</sup> უკვე ახლდა შაჰ-თავმასბ I-ს დიზფულის ლაშქრობაში და, როგორც თვითონ შენიშნავს, ამ დროიდან დაწყებული თან დაპყვებოდა შაჰს ყველა ომში და საკუთარი თვალით უნახავს უმეტესი ნაწილი მის მიერ აღწერილი ამბებისა. ჰიჯრის 953 (1546/7) წელს ჰასან რუმლუს მონაწილეობა მიუღია ერთ ბრძოლაში, რომელიც საქართველოში მოხდა. ვარძის დარბევა და ვარძის ტაძრის შიგნითა მოწყობილობის აღწერა მას ისე დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, რომ უთუ-ოდ თვითმხილველია ამ ამბებისა.

ჰასან-ბეგის გარდაცვალების თარიღი უცნობია. უკანასკნელი წელი, რომლის ამბებიც მას აღწერილი აქვს, ჰიჯრის 985 (1577/8) წელია. ეს წელი ითვლება აგრეთვე თხზულების დამთავრების თა-რიღად, თუმცა კი უდიდესი ნაწილი თვისი ნაშრომისა ავტორს უფრო აღრე, 980 (1572/3) წელს დაუწერია.

ჰასან რუმლუს თორმეტომიან<sup>2</sup> საისტორიო თხზულება „აქსან ათ-თავარის“ მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებია. ჩვენამდე მოაღწია ამ ნაშრომის მხოლოდ ორმა უკანასკნელმა ტომბა. პირველი ათი ტომი კერჯერობით არ არის აღმოჩენილი, მაგრამ ისინი აქა-იქ იხსენიება გადარჩენილ ტომებში. „აქსან ათ-

<sup>1</sup> აქსან ათ-თავარის<sup>3</sup>-ის ლენინგრადულ ხელნაწერში, რომლითაც ჩვენ ესარგებლობთ, 937 (1530/1) წელია აღნიშნული, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა სხვა ნუსხებში 938 წელი ყოფილა, რადგან სედონის გამოცემაშიც. და სამეცნიერო ლიტერატურაშიც ეს თარიღი მიღებული.

<sup>2</sup> ლენინგრადულ ხელნაწერს და დორნის კატალოგში ათი ტომი იხსენიება და, შესაბამისად, ბოლო ნაწილებს IX და X ტომები ეწიდება. ჩვენ, მართალია, ამ ხელნაწერით გსარგებლობთ, მაგრამ იძულებული ვართ ანგარიში გაუშინოთ სამეც-ნიერო ლიტერატურაში მიღებულ შეხელულებას და რამე გაუგებრობის თვეიდან ასცილებლად თორმეტომიანდ მიერჩით ჰასან რუმლუს თხზულება.

თავარიხის"-ის XI ტომში მოთხოვბილია ამბები, დაწყებული 1404/5 წლიდან 1493/4 წლამდე (პიგრის 807—899 წწ.). XII ტომში შეიცავს პირველ სეფიან ხელმწიფეთა — შაპ-ისმაილ I-ის, შაპ-თავისაძე I-ის და შაპ-ისმაილ II-ის მეფობისა და შაპ-ხოდაბან-დას ტახტზე ასვლის აღწერას. ეს ტომი იწყება პიგრის 900 (1494/5) წლით და მთავრდება, როგორც ვთქვით, პიგრის 985 (1577/8) წლით. ირანის შაპების გარდა, ამავე ტომებში მოთავსებულია ასევე დაწვრილებით მოთხოვბილი ისტორია ოსმალეთის სულთნებისა, ჯალათაის ხანებისა და ოზბეგთა ხანებისა.

თავისი თხზულების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ჰასან ჩუმლუს საკუთარი დაკვირვებები გამოუყენებია. იმ ამბების აღწერას, რომელთაც პირადად არ დასწრებია, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ავტორი სხვა სანდო პირთა ნამბობის მიხედვით იძლევა. გარდა ამისა, მას ლიტერატურული წყაროებითაც უსარგებლია. კერძოდ, ჩ. სედონმა გამოაჩვია, რომ ჰასან ჩუმლუს გამოყენებული აქვს მოულანა იდრის ბითლისის „პაშტ ბექეშშ“ („რვა სამოთხე“), დ. როსის მიერ გამოქვეყნებული ერთი უცნობი ავტორის საისტორიო ნაწარმოები და ყადი აქმედ ყაფარის „ნოსახ-ე ჯაპანარია“ („ქვეყნის შემაქობები ნუსხები“). ამ თხზულებებიდან ამოკრებილი ცნობების შეწამება ცხადყოფს, რომ ჰასან ჩუმლუს ხელთ ჰქონია ეს შრომები და ზოგიერთი აღვილი იქიდან გადმოუტანია თავის ისტორიაში. რაც შეეხება „აპსან ათ-თავარიხის"-ის პირველ ათ ტომს, ისინი, რა თქმა უნდა, წარმოადგენდნენ წინარე ხანის სხვადასხვა ავტორთა თხზულებების მიხედვით შედგენილ კომპილაციას. მათ შორის თვალსაჩინო აღვილი მირხონდისა და ხონდემირის ნაშრომებს უნდა ეჭიროს.

„აპსან ათ-თავარიხის"-ი მატიანეა. თხრობა აქ წლების მიხედვით არის დალაგებული. ჰასან-ბეგს მოთხოვბის შემდეგი წესი აქვს დაცული ჩვენამდე მოღწეული ორივე ტომის სიგრძეზე: წლის აღნიშვნის შემდეგ ის იწყებს დაწვრილებით თხრობას იმ შთავარი ამბებისას, რომლებიც ამ წელს მოხდა. ზოგჯერ ასეთ მოთხოვბას ხელნაწერის ორი-სამი გვერდი უკავია. შემდეგ გამოყოფილია პატარა ნაწილი, რომელსაც „სხვადასხვა ამბები“ აქვს სათაურად. აქ ჰასან-ბეგს უფრო წერილი შემთხვევები აქვს მოკლედ გაღმოცემული. ბოლოს მოთავსებულია ნეკროლოგების განყოფილება, რომელშიც დახასიათებული არიან აღნიშნულ წელს გარდაცვლილი გამოჩენილი პირები (პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები; მწერლები, პოეტები, მხატვრები, სასულიერო პირები და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ეს განყოფილება ყოველთვის შესამჩნევად იზრდება დიდი შიმშილობისა და უამიანობის წლებში.

ენა, სტილი ჰასანისა შედარებით უფრო საღაა, ვიდრე, ვთქვათ, ნადირ-შაპის ისტორიკოსის მიჩრა მეჭდი-ხანისა. თხრობა, ამბის გაღმოცემა ჰასანმა მარტივად და ლაპონიურად იცის, მაგრამ როგორ მიუვალ ციხეს, უძლეველ ლაშქარს ან ხელმწიფის მაღალ თვის სებებს აღწერს, ის ვერ ღალატობს თავისი დროის ირანელი სტილისტების წესს და ცდილობს მაღალი და ფერადოვანი ენით იღა-პარაკოს. ყურანიდან ამოღებული ციტატები, რასაკვირველია, საკმარისად აქვს მოტანილი ჩვენს ავტორს, მაგრამ განსაკუთრებულ მონდომებას იჩენს იგი ყოველ ცოტად თუ ბევრად შესაფერის შემთხვევაში ლექსების ჩართვით ტექსტის გალამაზებაში. ეს ლექსები მეტწილად ჰასანისავე საკუთარი ნაწარმოები უნდა იყოს და იშვიათად თუ იძლევა რაიმე ახალს; შინაარსით ისინი უფრო განმეორებაა პროზით ნათქვამისა.

ცნობები ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ ჰასან რუმლუს ამ მხარეში სეფიანი შაპების ლაშქრობებთან დაკავშირებით მოებოვება. XVI საუკუნეში ირანსა და ოსმალეთს შორის სასტიკი ბრძოლა წარმოებდა ამიერკავკასიაში (და, მაშასადამე, საქართველოშიც) ფეხის მოკიდებისა და გამაგრებისათვის. მაგრამ ჩვენი ქვეყანაც მედგრად იცავდა თავს და იბრძოდა ეროვნული თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ამ ბრძოლის მრავალი მომენტი აქვს მოცემული თავის შრომაში ჰასან რუმლუს და ზოგიერთი ისეთი ცნობაც მოებოვება, როგორსაც ვერ ვხვდებით სხვა წყაროებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შაპ-თაქმასბის საქართველოში შემოსევათა აღწერა, რაღაც ჰასანი, როგორც დავინახეთ, ამ ამბების თვითმხილველი ყოფილა.

ჰასან რუმლუს „აჰსან ათ-თავარიხ“-ის სულ ათიოდე ხელნაწერია ცნობილი დღეისათვის<sup>3</sup>. როგორც ჩანს, ის არასოდეს ყოფილა ძალიან გავრცელებული. ამ საყურადღებო ნაშრომის ორი ხელნაწერი დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. მათგან ერთი ხელნაწერი, რომელიც დორნის მიერ არის აღწერილი (დორნის კატალოგი, № 287), თხზულების ორ უკანასკნელ ტომს შეიცავს, ხოლო მეორე ხელნაწერი — მხოლოდ ბოლო ტომს (იხ. Mélanges asiatiques, III, SPb., 1859, გვ.731).

ჰასან რუმლუს თხზულება უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა სრულად გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა კი მისი ცნობების ერთი ნაწილი შემოვიდა სამეცნიერო ბრუნვაში

<sup>3</sup> C. A. Storey, Persian literature. A bio-bibliographical survey, Sect. II, fasc. 2, London, 1936, გვ. 307.

ისქანდერ მუნშისა და ფარსადან გორგიჯანიძის მეშვეობით (როგორც ცნობილია, ფარსადანი სარგებლობდა ისქანდერ მუნშის თხზულებით, ხოლო ეს უკანასკნელი XVI ს. ამბების თხრობაში „აშსან ათ-თავარის“-ს ემყარება). საქართველოს შესახებ ჰასან რუმლუს ცნობების სპარსული ტექსტისა, და ქართული თარგმანის გამოქვეყნება, ვფიქრობთ, საშუალებას მისცემს სპეციალისტებს უფრო ღრმად შეისწავლონ XV—XVI საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა და ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის მრავალი საყურადღებო საკითხი.

\* \* \*

1858 წელს აკად. ბ. დორნმა გამოაქვეყნა ჰასან რუმლუს შრომიდან ადგილები, რომლებიც კასპიის ზღვის მიმდგომ ქვეყნებს — გილანს, მაზანდარინსა და თალიშის მხარეს შეეხება<sup>4</sup>. 1931 და 1934 წლებში ჩ. სედონმა ბაროდაში (ინდოეთი) გამოსცა „აშსან ათ-თავარის“-ის ბოლო, XII ტომის სპარსული ტექსტი და შემოკლებული ინგლისური თარგმანი შენიშვნებით<sup>5</sup>.

წინამდებარე გამოცემისათვის სპარსული ტექსტი გადმოვწერეთ ლენინგრადის საჭარო ბიბლიოთეკის იმ ხელნაწერიდან, რომელიც თხზულების ორ უკანასკნელ ტომს შეიცავს (დორნის კატალოგი, № 287). ჩვენი ტექსტის ჩ. სედონის გამოცემასთან შედარებამ ცხადყო, რომ ჩ. სედონის მიერ გამოყენებული ნუსხები და ლენინგრადული ხელნაწერი სხვადასხვა რედაქციებიდან მომდინარეობენ და მათ შორის ზოგჯერ სხვაობასაც აქვს აღილი. ჩვენ რიგ შემთხვევებში თუმცა გავითვალისწინეთ სედონისეული ტექსტის წაყითხვები, მაგრამ სპარსული ტექსტისათვის გარჩანტების დართვა ვერ მოხერხდა.

სპარსული ტექსტის თარგმანის დროს ჩვენ ვცდილობდით თანამედროვე ქართული ენის ნორმების შესაბამისად გაგვეძართა ქართული ტექსტი, მაგრამ ამავე დროს ორიგინალსაც არ დავცი-

<sup>4</sup> B. Dorn, Muhammedanische Quellen zur Geschichte der südl. Küstenländer des Kaspischen Meers, Theil IV, SPb., 1858, 83. 375—431.

<sup>5</sup> A chronicle of the early Safawis being the Ahsanu't-tawarikh of Hasan-i Rumlu, edited by C. N. Seddon, „Gaekwad's Oriental Series“, № LVII, (Persian text), № LXIX (English translation), Baroda, 1931, 1934.

ლებოდით. იმისათვის, რომ მკითხველს საშუალება პქოზოდეს გა-  
ეცნოს ჰასან ჩუმლუს სტილს, რიგი შემთხვევებში სიტყვასიტყვით  
ვთარგმნეთ ავტორის მიერ ხმარებული ხატოვანი თუ მეტაფორუ-  
ლი გამოიქმები. თხრობაში ჩართული ლექსები მცირე გამონაკ-  
ლისის გარდა, გამოვტოვეთ, რადგან მათ მეტწილად კავშირი არა  
აქვთ გადმოცემული ამბების შინაარსთან.

პასან რუმლუ

## აკსან ათ-თავარის

ქართული თარგმანი

თხრობა რვას ჩვიდმეტ (1414/5) წელს მომხდარი  
ამბების შესახებ

ყარა-იუსუფ თურქმანის ომი შირვანის ვალი სულთან  
იბრაჰიმთან

იმ დროს, როცა აპმედ ჯალაირი<sup>1</sup> თავრიზზე იყო წასული,  
შეის იბრაჰიმი<sup>2</sup> შირვანს განაეცებდა. [მას] დახმარება სთხოვა [აპ-  
მედმა]. ამიტომ შეის იბრაჰიმმა თავისი შვილი გოუპარ-შაპი<sup>3</sup> დი-  
დი ჯარით გაგზავნა სულთნის დასახმარებლად. შირვანელები  
ბრძოლის დღეს [აპმედის] ბანაკის მახლობლად ჩამოხდნენ. ამ დროს  
თურქმანთა ჯარის ერთი რაზმი, რომელიც საომრად იყო გამოსუ-  
ლი, თავს დაესხა მათ. გოუპარ-შაპი დაიჭირეს და ყარა იუსუფს<sup>4</sup>  
მიგვარეს.

როცა ამ ამბავმა შირვანს მიაღწია, შეის იბრაჰიმმა თურქმანთა  
ხელმწიფის კარზე მოციქულები გაგზავნა მრავალი საჩუქრით და  
თავისი შვილის დანაშაულის პატიება ითხოვა. ყარა-იუსუფმა თქვა:  
„შირვანი აზერბაიჯანის მეზობლადაა, შეის იბრაჰიმს კი ბალდადის  
პაქიმთან<sup>5</sup> აქვს მეგობრობა და კავშირი და თავრიზის ვალის<sup>6</sup> ებრძ-  
ვისო“. ბოლოს, რაღანაც დიდად მოწყალე იყო, აპატია მას (გოუ-  
პარ-შაპს) დანაშაული და მრავალი ქონებით [დასაჩუქრებული]  
შირვანის პაქიმთან გაგზავნა. რამდენიმე ხნის შემდეგ შეის იბრა-  
ჰიმმა თავის შვილს გოუპარ-შაპს სიკვდილის შარბათი შეასვა იმის  
გამო, რომ ის (გოუპარ-შაპი) ყარა-იუსუფის მომხრეებს ეკუთ-  
ნოდა<sup>7</sup>. [მერე] შეაგროვა დიდი და მრავალრიცხოვანი ჯარი, შეუ-  
ერთდა საქართველოს მეფე კონსტანტინეს<sup>8</sup> და შაქის პაქიმის შამს  
ედ-დინ ალის შვილებს<sup>9</sup> და ყარა-იუსუფის წინააღმდეგ საომრად  
გაემართა. იქიდან კიდევ ყარა-იუსუფი მრავალრიცხოვანი და ძლე-  
ვამოსილი ლაშქრით შამბ-ე ყაზანისკენ<sup>10</sup> წამოვიდა. აშირ ყარა-  
მანი ერთი ჯგუფი ბუმბერაზებით, რომელიც თავისი ცეცხლის-

მფრქვეველი და მთის გამხვრეტი ისრის წვერებით ტყუპების ზოდიაქოს ქამარს ცის გუმბათზე აკერებდნენ და სიცოცხლის წამრითმევი შუბების წვერებით მთვარეს სახიდან ლაქებს აცლიდნენ, [და] რომელთა ცხენების [მიერ აღენილი] მტვერი ღრუბელივით დიდი იყო, [მათი ნასროლი] ისრები წვიმისებრი, ხოლო ხმლების [კრიალი] ელვა-ქუხილის [მსგავსი], ამირახორებთან ერთად, რომელნიც მის ხალხს ეკუთვნოდნენ, წინამავლად წავიდა. ყარა-იუსუფმა ბაბა ჰაჯი-ბეგ ქავერდი<sup>11</sup> არდებილის მცველად დააყენა.

შეის იბრაჰიმი მტკვრის ნაპირას დაბანაკდა. გარშემო ხანდაკი იყო ამოჭრილი. ყარა-იუსუფის ჭარი ქარივით სწრაფად გადავიდა წყალზე და მტერს შეუტია. ამირ ყარამანი და ამირ ბასთამი ძლევამოსილად შეიჭრნენ მტრის კარვებში. შირვანელებმა ბრძოლა დაიწყეს. ბუმბერაზების ყიუინა, ღაზიების ლოცვა-დიდება და შირვანელთა და ქართველთა ორიალი ცას აყრუებდა, საომარ ქოსთა და სტვირთა ხმა მთებს აზანზარებდა, აფორიაქებდა და შიშის ზარს სცემდა.

სულთან იბრაჰიმი რომ ყარა-იუსუფის ლაშქარი ნახა, თავისი მოუფიქრებელი საქციელი ინანა, რაღაც [თურქმანთა] ძლევამოსილი, უამრავი ჯარისაგან ზღვა დუღდა და მამაცი შეომრების ცხენთა ჭიბუინისაგან ჰაერი [სავსე იყო] გრიალითა და ხმაურით.

კონსტანტინე სახელისა და დიდების მოსახვეჭად ბრძოლის ველზე გამოვიდა თავისი საზიზღარი ხალხით. თავდადებული ბრძოლა იწყეს და წინააღმდეგობის სარტყელი წელზე შემოიკრეს...

შირვანელებმა და ქართველებმა ყარა-იუსუფ თურქმანის ლომალმიანი [ლაშქრის] შიშით მელისებივით ზურგი აქციეს და სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. მრავალი ქონება და ძვირფასი ნივთი დასტროვეს, ასე რომ ბრძოლის ველი სავსე იყო ტანისამოსით, ვერცხლის ჭურჭლოთა და კარვებით.

ყარა-იუსუფის ჭარი ქართველებს სწრაფად გარს შემოერტყა და მცრელი მახვილისა და სიცოცხლის წამრთმევი შუბების ცემით მრავალი ცუდმორწმუნე დალუპვის მიწაზე დასცეს. კონსტანტინე ტყვედ ჩაიგდეს. სულთან იბრაჰიმი ხანდაკში ჩავარდა და ხელი მოიტეხა. ამ დროს ერთი თურქმანი წააღგა თავზე და ხელის ტკივილით შეკირვებული [იბრაჰიმი] დანებდა მას. იმ კაცმა ხელმანდილი<sup>12</sup> მოაბა კისერზე მას და ყარა-იუსუფთან მიიკვანა. [სულთან იბრაჰიმის] სახელოვანი შვილებიდან და კეთილშობილი ამირებიდან ტყვედ იქნენ წაყვანილი: ყაზანფარი, ასადულაპი, ხალილულაპი, მანუჩაპრი, აბრ-არ-რაპმანი, ნასრულაპი, ჰაშემი, ფაიდარის ყაზი და ამირ ჰუშანგ<sup>13</sup>. რაյი შირვანელები სუსტად იბრძოდნენ, ყარა-იუსუფმა მათ არა აენო რა, ხოლო დატყვევებული

ქართველები დახოცეს. კონსტანტინეს ფირ-ბუდაყმა<sup>14</sup> თავისი ხელით მოკვეთა თავის<sup>15</sup>. სულთან იბრაჰიმს ბორკილები გაუყარეს და თავრიზში წაიყვანეს.

ერთხელ სულთან იბრაჰიმი ხელის ტკივილს უჩინდა. ამირ ყარამ, რომელიც ფირ-ბუდაყის ათაბეგი იყო და ამირ სულთან იბრაჰიმს უვლიდა, [მისი ამბავი ყარა-იუსუფს] მოახსენა. ყარა-იუსუფმა დაიბარა ის. შირვანის ვალი თურქმანთა ხელმწიფეს ეახლა. მოხდენილი ახალგაზრდები და მორთულ-მოკაზმული ლამაზმანები-ბრძანების თანახმად, მას თასს აწოდებდნენ. სულთან იბრაჰიმი უშიშრად იმდენი სასიამოვნო სიტყვა უთხრა ყარა-იუსუფს, რომ მას შეუყვარდა. ამ დროს ახი ყასაბმა თქვა: „ჩვენ თავმდები ვართ, რომ შევასრულებთ [იმას], რაც ამირ სულთან იბრაჰიმშა მისი უდიდებულესობისაგან მიიღო [ვალდებულებადღ]“. ყარა-იუსუფმა შეიწყნარა ახი ყასაბის სიტყვა და ბოლოს, თავის კეთილშობილი და შემბრალებელი ხასიათის გამო, მისი (სულთან იბრაჰიმის) არმოსაწონი მოქმედება ისე ჩათვალა, ვითომც არ მომხდარიყოს, ფხეზე ბორკილი შეხსნა და გვერდით მოისვა. სულთან იბრაჰიმმა თავს იდვა ათას ორასი ერაყული თუმნის შეტანა სამეფო ხაზინაში<sup>16</sup>. იმ ზამთარს ყარა-იუსუფს ემსახურებოდა, გაზაფხულზე შირვანში წავიდა.

### თხრობა რვაას ოთხმოცდაერთი (1476/7) წლის ამბებისა

#### სხვადასხვა ამბები

ამ წელს პასან ფადიშაპები<sup>17</sup> საქართველოზე გაილაშქრა და სეიდები და შეიხები, ვინც სოიურლალის მფლობელი იყო, ყველა თან იახლა, მან დაიპყრო საქართველო, მრავალი ტყვე წამოიყვანა და სეიდებსა და შეიხებს ყველას წილი არგუნა<sup>18</sup>.

### რვაას ოთხმოცდარვა (1483) წლის ამბები

#### იაყუბ ფადიშაპის გალაშქრება საქართველოზე

ამ წელს იაყუბ ფადიშაპი<sup>19</sup> ურიცხვი ჭარით საქართველოსკენ გაემართა. მარხვის თვეს<sup>20</sup> ისლამის ჭარი საზიზლარ ურწმუნოთა ქვეყანაში მივიდა, ახალციხის სიმაგრის მიღამოებში დადგა და იშვეუნის ციხეს გარს შემოერტყა.

ძლევამოსილმა მეომრებმა იმ ციხის ერთი კოშკი ზარბაზნის ცემით დაანგრიეს, ურწმუნოებმა დაუყოვნებლივ გაამაგრეს 1 ის კოშკი რეინის იარალით. ამ დროს ციხის ამბარში ცეცხლი გაჩნდა

და სიმაგრის უმეტესი ნაწილი დაიწვა. მამაცმა და გულადმა, თურქმანებმა მხეობის ფარი თავზე წამოიფარეს და ციხეზე იყრიში მიიტანეს. მათ კიბე მიადგეს ციხის კოშკს და ზედ ავიდნენ. ამის მხილველი ურწმუნობი შეძრწუნდნენ და დაიბნენ. ისინი დიდი გავირვებით ნარიყალაში გადაცივდნენ და ძირს ჩამოვიდნენ. ვინც მუსლიმანი გახდა, ის უვნებელი გადარჩა, ხოლო ვინც არ მიიღო ჭეშმარიტი საჩწმუნოება, ის არყოფნის გზით გაეჩქარა (მოიკლა)<sup>21</sup>. უავგუსტოესი დროშები აწყურის ციხისაკენ<sup>22</sup> გაემართნენ. მაშინ ყვარყვარეს დედამ, რომელიც იმ ციხე-სიმაგრეში იყო, ერთი მღვდელი გამოგზავნა იაყუბ ფადიშავთან და უვნებლობა ითხოვა. ხელმწიფემ აღარ დასაჭა ისინი, ციხის ქონება კი აღო. იმ ციხეში მათ დიდძალი განძეული ჩაუგარდათ ხელში<sup>23</sup>.

ყვარყვარემ თავისი შეილი გაგზავნა თხოვნით იაყუბ ფალიშაპის კარზე და ამირების მეშვეობით მისი უღილებულესობის ნოხის კოცნით გაბეღლინიერდა. დაალაგა რა ხელმწიფის წინაშე ძლვნალ მოტანილი საჩუქრები, მან მოახსენა [იაყუბს]: თუ ხელმწიფე ინებებს თავის ქვეყანაში დაბრუნებას, დაპირებული გადასახადის გარდა კიდევ შევიტან [ტქენის] ბედნიერ ხაზძნაში ხუთას თუმანს „ნალის ფასადო“<sup>24</sup>. იაყუბ ფადიშაპმა მიუალერსა მას, ძვირფასი ტანისამოსითა და ქარივით სწრაფი ცხენების ბოძებით გააბეღლიერა და გაუშვა. იაყუბ ფადიშაპი თავრიზისაკენ გაბრუნდა. ეს ლაშქრობა ორმოც დღეს გაგრძელდა<sup>25</sup>.

### რვაას ოთხმოცდაცამეტი (1487/8) წლის ამბები

სულთან ჭეიდარ სეფევის გალაშქრება შირვანისაკენ და მისი უღილებულესობის მოწამებრივი სიკვდილი  
სიკვდილ-სიცოცხლის განგებლის განგებით

ამ წელს სულთან ჭეიდარ სეფევიმ<sup>26</sup> შირვანის მხარეს გაიღავრა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სუფი ხალილი, რომელიც საქართველოზე სალაშქროდ იყო წასული, დამარცხდა, დაპყარა კარვები და შირვანისკენ წავიდა. როცა ამ ამბავმა იაყუბ ფადიშაპიმდე მიაღწია, მან შიკრიები გაუგზავნა მის უღილებულესობას და სთხოვა დახმარებოდა სუფი ხალილს. ამიტომ სულთან ჭეიდარი ურიცხვი ჯარით იმ მხარეს გაემართა და სუფი ხალილის ბანაკის მახლობლად ბრძანა ჩამოხდომა. სუფი ხალილი შიშმა მოიცვა და მასთან შეხვედრა მიზანშეწონილად არ სცნო. ამის გამო მისი უღილებულესობა შირვანისკენ წავიდა, მდინარე მტკერის ზაპირს მიადგა და იქ დაბანაკდა. დახლოებით ორ თვეს ინება იქ ყოფნა<sup>27</sup>.

ცხრაას ექვს (1500/1) წელს მომხდარი ამბები

**ალექსანდრეს სადარი ხაყანის ომი შირვანის ხელმწიფეესთან**

როცა ალექსანდრეს<sup>28</sup> სადარმა ხაყანმა<sup>29</sup> ერზინჯანში ინება დადგომა, მურიდებისა და სუფიების შვილი ათასი კაცი უსთავლუს, შამლუს, რუმლუს, თაქალუს, ძულ-ყადარის, ავშარის, ყაჯარის, ვარსაყის ტომებისა და ყარაჩალალის სუფიებისა<sup>30</sup>, მათ შორის მოჰა-მედ-ბეგი ორასი სახლიყაცითა და ხელქვეითით, აგრეთვე აბედინ-ბეგ შამლუ სამასი კაცით — ქვეყნის საფარველის (შაპის) კარზე შეიკრიბა. ალექსანდრეს სადარმა ხაყანმა ზოგიერთი ღილებული მოიხმო და უბრძანა ერთმანეთში მოეთათბირათ, რომელ მხარეს უფრო შესაფერისი იქნება, რომ გაევმართოთ. ზოგმა თქვა, საჭიროა ერზინჯანში გავატაროთ ზამთარი, რათა დანარჩენი სუფიები და მურიდები თანდათანობით შემოვციერთდნენ. ზოგმა კი მოახსენა [ისმაილს]. ყვარყვარეს საქართველოს ურწმუნოებაზე გავილაშეროთო. სხვა ჯგუფმა კიდევ ჩოხურ-საადი<sup>31</sup> სცნო შესაფერისად.

როცა ეს მოახსენეს [ისმაილს], მისმა უდიდებულესობაში გადასწყვიტა, მეც ამ ღამით ვიმკითხავებ წიგნით და რასაც უცოდველი იმამები — ღვთის კურთხევა იყოს მათზე — ბრძანებენ, ჩვენც მას შევასრულებთო. მეორე დღეს მოწვია ამირები სამეფო ტახტის საფეხურებთან და ბრძანა, გუშინ უცოდველი იქმების შემწეობით — ალაპი გაუმარვებს მათ ყველას — ჩვენთვის გამორკვეული და დაღვენილ იქნა, რომ დროშების შირვანისაკენ მიმართვა სწორი, კეთილი და კეთილდღეობასა და სიმართლესთან დაკავშირებული იქნებაო. ამიტომ სადავები შირვანისაკენ მიმართეს. როცა ბასიანს მიაღწიეს, მიზანშეწონილი მოქმედებისათვის საჭირო შეიქნა, რომ ხოლეფა-ბეგი საქართველოსაკენ გაეგზავნათ. ბრძანების თანახმად ხოლეფა-ბეგმა მამაცების რაზმით საქართველოზე გაიღაშერა, უზომო ნადავლი აიღო და უავგუსტოეს ურდოში დაბრუნდა. ალექსანდრეს სადარმა ხაყანმა იმ ღროს ილიას-ბეგ ეიღუდ ოღლი გაგზავნა როსთემის მსგავსი სუფიების რაზმით შენოეშის<sup>32</sup> ციხის დასაპყრობად. ამირა ილიასი უშიშარი ჯარით გაემართა საძირკვლად ცის სფეროს მქონე იმ ციხისაკენ. მენთეშმა ის ციხე ერთ თავის მისანდო პირს გადასცა და ოვითონ კი გაიქცა. ძლევამოსილმა ჯარმა იმ მიუვალ ციხეს აღყა შემოაჩტყა. მენთეშის ხალხი, შეძრწუნებული [ციხიდან გამოვიდა და] ხმლით და სუდარით ხელში ლაშერის მწყობრთა მლეწი იმ აშირას ბანაქში წავიდა სასწრაფოდ.

თხრობა ცხრას ოცდაორი (1516) წლის ამბების შესახებ

ალექსანდრეს სადარი ხაყანის ზამთრად დაბანკება ნახუევანს.  
და დივ-სულთანის გალაშქრება საქართველოზე

ამ წელს ბრძოლა მოხდა ყვარყვარესა და მანუჩარს შორის სა-  
ქართველოში<sup>33</sup>. ყვარყვარე გაიქცა და თავრიზში გაძელნიერდა  
ხელმწიფესთან ბლებით. მან მოახსენა [ხელმწიფეს] საქართველოს  
მდგომარეობისა და [იგ] ურჩითა მძღავრობის შესახებ. დიღებულ-  
მა მზემ (შაჰმა) წყალობის სხივები მოჰვინა მანუჩარს და ბრძა-  
ნება გასცა, რომ დივ-სულთან რუმლუ, ჩარქინ ჰასან თაქალუ, ნა-  
რინ-ბეგ ყაჯარი, ყაზაყ-ბეგ რუმლუ და ჰასან-ბეგ ჭუთე საჩქაროდ  
წასულიყვნენ და ეცადნათ, ეგებ ღვთის დახმარებით საქართველოს  
არე გაიწმინდოს იმ უწმინდურთაგანო. ამირები შურაგელის<sup>34</sup> გზით  
გაემართნენ აყ-შაჰირისაკენ და იმ ქვეყნის მხარეებს მოედვნენ რო-  
გორც. ცით მოვლენილი მოულოდნელი უბედურება. მანუჩარმა  
რომ ეს იხილა, თავზარი დაეცა, გაიქცა და აზნაურებთან ერთად  
ყარასულში<sup>35</sup> წავიდა. მან მოციქულები გაგზავნა დივ-სულთანთან  
და ზავზე დაიწყო ლაპარაკი. ამირებმა მისი მოციქულები დახოცეს  
და მასზე თავდასასხმელად წავიდნენ. როცა სხენებული სოფლის  
მიღამოებში მივიდნენ, მანუჩარი გაიქცა და რუმს წავიდა. ამი-  
რები თმოვგის ციხის მიღამოებში დადგნენ. ეს ციხე მდებარეობს  
ღრმა ხეობის შუაში, ერთი მთის წვერზე. ლაზიებმა ღვთის დახმა-  
რების მქონე დროშები გაშალეს, გამარჯვების მახვილები იძრეს  
და მას გარს შემოერტყნენ. 14 დღეს გრძელდებოდა ბრძოლა ცულ-  
მაქცევარ ქართველთა და ლაზიების შორის. ბოლოს ისლამის ლაშ-  
ერმა გახვრიტა ციხის წყალსაცავები და ურწმუნოებს ძალა წა-  
ართვა. მათ მიმართეს დივ-სულთანს და არაბინირი<sup>36</sup>, რომელიც  
მანუჩარის რწმუნებული იყო, შესაფერისი საჩუქრებით ციხიდან  
გამოვიდა; დივ-სულთანმა საქართველოს გამგებლობა ყვარყვარეს  
მისცა და დაბრუნდა. ამ ლაშქრობის დროს დივ-სულთანმა ჩარქინ  
ჰასანი სტკვდილით დასაჭა<sup>37</sup>.

ცხრას ოცდაოთხი (1518) წლის ამბები:

სელიმისაგან დახმარების გაგზავნა მანუჩარ ქართველისათვის  
და ურუმების დახოცვა ყვარყვარე ქართველის მიერ

ამ წელს ალექსანდრეს სადარი ხაყანი საზამთროდ. ნახუევანს  
დადგა. ამავე წელს მანუჩარ ქართველი, ყიზილ-აშმედ ლოლისთან  
ერთად, რომელიც სულთან სელიმის<sup>38</sup> ერთი ამირათგანი იყო,

რუმიდან საქართველოში ჩავიდა, რათა [ყიზილ-აჭმედ ოლლის] ყვარყვარებათვის ქვეყანა („ოლქი“) წაერთმია და მისთვის მიეცა. ყვარყვარე მათ შეება ყარაჯა-არდაპანში და გაიმარჯვა. ყიზილ-აჭმედ ოლლი და ურუმთა ერთი ჯგუფი დახოცეს.

დივ-სულთანმა, რომელიც ჩიხურ-საადის მმართველი იყო, დად ელი<sup>39</sup> დაარბია და უკან დაბრუნდა.

### სხვადასხვა ამბები

ამ წელს საქართველოს ჰაემი მეცე ყვარყვარე ქვეყნის საფარ-ველ კარზე მოვიდა და ალექსანდრეს სადარმა ხაყანმა გასთან ერთად დივ-სულთანი საქართველოზე გაგზავნა. დივ-სულთანმა ციხე გორი და სურამი<sup>40</sup> დაიპყრო.

### ცხრაას ოცდაშვიდი (1520/1) წლის ამბები

ლევან ქართველის ურჩიობა და შაქის ქვეყანაზე თავდასხმა. ალექსანდრეს სადარი ხაყანის მიერ დივ-სულთანთან გაგზავნა  
ზოგიერთ ამირასთან ერთად ზაგემსა  
და ლევანის სხვა ოლქებზე თავდასხმელად

ამ წელს საქართველოს ჰაემმა ლევანმა<sup>41</sup>, გამოილო თავი მორჩილების უღლიდან, გაითავისუფლა კისერი გამგონების საყელოსაგან და ურწმუნოთა ჯარი გაგზავნა შაქის მხარეზე თავს-დასასხმელად. იმ ქვეყანაში მაღლა ავარდა მტვერი წერძოსეულ ჯარისაგან. შაქის ჰაემმა ჰოსეინ-ბეგმა<sup>42</sup> არჩა გაგზავნა უმაღლეს ტახტისაღმი და დახმარება ითხოვა. ალექსანდრეს სადარმა შაპმა მის დასახმარებლად დივ-სულთანი გაგზავნა რამდენიმე სახელოვანი ამირათი და დიდებული ბუმბერაზებით. დივ-სულთანმა ღაზიებით ყანუყი და ყაბრი<sup>43</sup> გადაიარა, ზეგამი და გრემი დაარბია და სოფელ ცი-ში<sup>44</sup> დადგა. ლევანი მიხედა, რომ საშინელ სპილოსთან და მრისხანე ლომთან შეჯიბრება არ ივარჯებდა, სხვა გზა ვერ გამონახა, გარდა იმისა, რომ ურჩიობა და დამოუკიდებლობა დაეტვოვებინა და [შაპისათვის] თავდადებასა და მსახურებას შედგომოდა. ეს რომ გადაწყვიტა, ამ სასიხარულო ამბის სხივმა მისი გონება გაანათლა. მან სისუსტის ხელი შუამდგომლობის კალთას მოსჭიდა, უძლური ხმით წარსულის პატივება ითხოვა და [დივ-სულთანს] მოახსენა: [რადგანაც თქვენი] დიდსულოვნება [ჩემმა] ურჩიბამ შებდალა, ამიტომ [ჩენი] შეცველრა ამჟამად ძნელია და [თქვენთან] ხლება შეუძლებელია. თუ თქვენი აღმატებულება ინე-

ბებს უკან გაბრუნებას, ცოტა ხნის შემდეგ მე ქვეყნის საფარველ კარზე გაძივებისას და მსახურების წესებს და თავდადების პირობებს შევასრულებო. ამის გამო დივ-სულთანი იქიდან გაბრუნდა და ქვეყნის საფარველ კარზე მივიდა.

### თხრობა ცხრაას ოცდათი (1523/4) წლის ამბების შესახებ

ლევანის გალაშქრება შაქზე და შაქის ვალის მიერ ალექსანდრეს სადარი ხაყანის წინაშე [დახმარების] თხოვნა

ამ წელს ლევან-ბეგ ქართველმა გაილაშქრა [შაქზე]. პოსეინ-ბეგი, რომელიც იმ ქვეყნის ჰაემი იყო, საომრად გამოვიდა მრავალრიცხვების ლაშქრის ერთი რაზმით. მათ შორის მეტად მხმები ბრძოლა მოხდა. შაქის ლაშქარი დამარცხდა, პოსეინ-ბეგი იმ ბრძოლაში დაიღუპა მოწამებრივი სიკვდილით. ლევან-ბეგი გრეშს დაბრუნდა. შაქის ხალხმა თავის მმართველად დააყენა დერვიშ მოჰამედ-ხანი, რომელიც მისი (პოსეინ-ბეგის) შვილი იყო<sup>45</sup>.

### ცხრაას ორმოცდაშვიდი (1540/1) წლის ამბები

ქვეყნის საფარველი შაჰის პირველი ლაშქრობა  
ურგულო ქართველებზე და ამ ურწმუნოთა ამოწყვეტა

ამ წელს ქვეყნის საფარველმა შაჰია<sup>46</sup>. ისლამის გასამარჯვებლად და უფალი მოციქულის — მშვიდობა იყოს მასზე — რჯულის გასაძლიერებლად, ურწმუნო ქართველების აღმოსაფხვრელად გაიღაშქრა და გზადაგზა ნაღირობით ბარგუშათისათვენ<sup>47</sup> გაემართა. ამირები, სახელმწიფოს დიდებულინი და სარდლები ყველა კუთხის ლაშქრითურთ შეუერთდნენ ძლევამოსილ ჭარს. ამის შემდეგ ბედნიერი ხელმწიფე ზოგიერთი ბუმბერაზით საქართველოს მხარეს წავიდა იღლარით. ერთ ღამეს, როცა ბედის გუნება აღმფოთებული იყო ჰაერის გამარჯვებით, ისლამის ლაშქარი თავს დაესხა ქალაქ თბილის, ეშმაკის სადგომს.

ლექსი: ქართველთა ჭარის ცხენოსან ყარაულებს,  
რომლებიც მზეერავად იღნენ გზაზე,  
კველას დილის ტკბილი ძილით ეძინათ.  
დამრბეველებმა განთიადისას ღრიშა აღმართეს,  
ქალაქის კარს უვრძნობლად თავს დაესხნენ.  
ქართველი მამაცნი ძილში განისვენებლენ,  
როცა დილის ქარმა ჩააქრო [მათი სიცოცხლის] სანთელი და ლამპარი.

უბედურების გრიგალი ამოვარდა და [ყიზილბაშებმა] ძარცვა-რბევის ცეცხლი წაუკიდეს ქალაქს, ხოლო მათი (ქალაქის მცხოვრებთა) ბავშვები და ცოლები დაატყვევეს.

გულბაათ ქართველი ლუარსაბის<sup>48</sup> ერთი პატივცემული აშირა-თაგანი იყო. მან აზნაურების ერთ ჯგუფთან ერთად თბილისის ცი-ხეს შეაფარა თავი. ბოლოს უვნებლობა ითხოვა, ციხე [კიუსილბა-შებს] ჩააბარა და ისლამის ხალხის რიგებში იქნა შეყვანილი<sup>49</sup>. ძლევამოსილმა ღაზიებმა კრიალა ხანჯლებისა და ცეცხლოვანი ხმლების ცემით საქართველოს ველაიეთი უწმინდური ქართვე-ლებისაგან გაწმინდეს. ჰაბაში<sup>50</sup>, რომელიც ლუარსაბის ერთ-ერ-თი საპატიო ამირა იყო, [მოწინააღმდეგის] მრავალრიცხვანი ჭა-რის შიშით გაიქცა და ბირთვისის ციხეში შევარდა. ეს [ისეთი მა-ლალი] ციხე იყო, რომ მასში მდგომად ხელი ქალწულის ზოდიაქმ-დე მიუწვდებოდათ და მის მცხოვრებთა სმენას ანგელოზთა გალო-ბა სწვდებოდა...

ძლევამოსილი ლაშქარი ღვთის შემწეობით გარს შემოერტყა იმ ციხეს და ბრძოლა დაუწყო. ურწმუნობი შიშის ზარმა შეიცყრო სრულიად ღვთის დახმარებით მოსარებელე ლაშქრის შეტევის გა-მო და ციხე დასთმეს. ყველა, ვისაც მის სახელნიეროდ მიუღდგა უუ-რანის სიტყვები — „ალლაჰი მიუძღვის მას, ვისაც სურს სწორი გზა“, შებრალებულ იქნა, ხოლო ვინც სრულ უვიცობასა და ურ-ჩიბაზე მტკიცედ იდგა, ის დაიღუპა, არარსებობის ქარმა გაიტაცა, და არყოფნის სამოსი ჩაიცვა საიქიონიათვის.

ამ ამბების შემდეგ ღვთის დახმარების მქონე დროშები სა-ქართველოს დიდობრის მთისაკენ დაიძრა, იმ დიდებული მთისაკენ, რომელსაც ცის მბრუნავ სფეროსავით [მაღალი] წვერი ჰქონდა. ძლევამოსილმა ლაშქარმა იმ მთის მიუვალი ადგილები ძალით და-იპყრო, მრავალი ურწმუნო მთის ვიწრო ხევებში ჩახოცა და იმ ურწმუნოთა სიმტკიცის საფუძველი ცეცხლოვანი შეტევით ათრ-თოლა. ამ ღვთისაგან მიტოვებულებიდან, ვინც მახვილს გადაურ-ჩა, ისინი კილიასავით გაიფანტენ უდაბნოში. იმ ურწმუნოთა მო-სასპობად წამოსული ქვეყნის საფარველი შაჰი მტკვრის ნაპირას მივიდა. ლუარსაბ ქართველი, რომელიც იმ ქვეყნის პაქიმი იყო, გაიქცა, მაგარ მთებსა და უღაბურ ტუეებში გადავარდა და ღაზი-ების ხელს გადაურჩა. მაშინ ძლევამოსილი დროშები ბეღნიერები-თა და კეთილი იღბლით უკან დაბრუნდენ და თავრიზში დადგნენი.

### თხრობა ცხრაას ორმოცდაცხრა (1542/3) წლის ამბებისა

ხონთქრის მიერ ლაშქრის გაგზავნა ქართველებზე

ამ წელს ისმალეთის ხელმწიფემ სულთან სულეიმანმა<sup>52</sup> მუსა-ფაშა, რომელიც არზრუმის მმართველი იყო, 60 სანჯაყის ამირა-თი საქართველოს დასაპყრობად გაგზავნა. ოსმალები, ბრძანების-თანახმად, დად ელისაკენ ფაემართნენ. მეფე ბაგრატმა, რომელიც

ბაში-აჩუქად<sup>53</sup> არის ცნობილი, ციხე გაამაგრა, აზნაურების ერთი რაზმი შიგ ჩასვა და თვითონ მთასა და ტყეში წავიდა. ოსმალებმა ციხეს ალყა შემოარტყეს და ათი დღის შემდეგ აიღეს. იქიდან გა-წყობილი ჯარით ოლთისში მოვიდნენ და იქ ციხეს გარს შემოადგნენ. იანიჩრებმა<sup>54</sup> წინ წამოიწიეს, სიბები<sup>55</sup> გამართეს და ევროპული ზარბაზნებით და სხვა იარალით დაუწყეს ციხეს ბრძოლა. მე-ციხოვნებმა ძალაუნებურად ხელი მიჰყევს ბრძოლასა და ოშს. მა-შინ ბაში-აჩუქმა ეშმაკობით და ვერაგობით რამდენიმე კაცი გა-მოგზავნა მუსა ფაშასთან მრავალი საჩუქრით და შემოუთვალა: მე როგორ შემიძლია ხონთქრის ჯარისათვის წინააღმდეგობის გა-წევაო. თუ ფაშა უკან გაბრუნდება, ციხის კლიტებს, ვისაც მიბრ-ძანებთ, იმას გადავცებო. მისი სიტყვებით მოტყუებული ფაშა ოლთისის ციხიდან აყარა და არზრუმს წავიდა, საჭაყის ამირათა რაზმი კი თოფხანაში<sup>56</sup> დატოვა, რომ შემდეგ მას გაჰყოლოდა და ორზრუმში მიეტანა [თოფხანა].

როცა ბაში-აჩუქმა ფაშას უკან გაბრუნების ამბავი გაიგო, სხვა ქართველ სარდლებთან ერთად თოფხანაში დატოვებულ ოსმა-ლებს მოულოდნელ უბედურებასავით თავს დაესხა. [ოსმალებს] ყოველ მხრიდან გარს შემოერტყნენ, ასე რომ, ათასიდან ერთიც არ გადარჩენილა. ამის შემდეგ ილლარით ფაშას წინააღმდეგ გაე-მართა. გვიანი დილა იყო, რომ დაეწია მას, შეუტია და ოსმალების სიცოცხლეს სული ამოართვა ცეცხლის მფრქვეველი სტრიტ. ქართველებმა ლალისფრად შეღებეს ბრძოლის ველი მათი სისხ-ლით და მრავალი ოსმალო, მუსა ფაშასთან და წარჩინებულ ოს-მალებთან ერთად, დახოცეს, ხოლო მათი ბანაკი დაარბიეს და იყლეს.

როცა ამ ამბავმა ხადემ ალი ფაშამდე მიაღწია ჰამიდს, მან სასწრაფოდ გაილაშქრა საქართველოსაკენ დიარჩექრის ჯარით. რო-ცა იმ მხარეს მივიდა, ქართველი ამირები ყველა თავთავიანთ ვე-ლაიეთებში იყვნენ წასულ-წამოსულნი. [ფაშამ] რამდენიმე სო-ფელი დასწვა და ჰამიდის მხარეს დაბრუნდა.

### თხრობა ცხრას ორმოცდათ (1543/4) წელს მომხდარი ამბების შესახებ

ოსმალების ბრძოლა ქართველებთან

როცა ქართველების გამარჯვების ამბავმა სულთან სულეიმა-ნამდე მიაღწია, მან მოთამარიდ ალი ფაშა გაგზავნა საქართველო-ზე მრავალრიცხოვანი ჯარით. ისინი ყანლუ-ჩამანჩე შეხვდნენ ქართველებს და ბრძოლა დაიწყეს. როცა ბრძოლის ცეცხლი გა-ჩაღდა, ქართველებმა ძალა მოკრიბეს და დელუ ბეჭა ედ-დინ

ქურთს დროშა წაართვეს. ხელცარიელი დარჩენილი ბეჭა ედ-დინი ძართველებს ეძერა, თავისი დროშა უკანვე წაართვა. მათ და ოსმალთა ჯარს შეუერთდა. ბრძოლისა და ჭიდილის შემდეგ ქართველები დამარცხდნენ და გაიქცნენ. მათი დიდიალი ქონება ხელში ჩაუვარდა ოსმალებს, [რომელიც] თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

თხრობა იმ ამბების შესახებ, რომლებიც ცხრაას.

ორმოცდაცამეტ (1546/7) წელს მოხდა

### უმადური ალყასის<sup>57</sup> ურჩობა

თავრიზში ავშარისა და ძულ-ყადარის ტომებს შორის შუღლი ჩამოვარდა. ორივე მხარემ საომარი იარალი აისხა და ბრძოლისა და ჭიდილისათვის მოემზადა. ჩატულის საფარველმა შაპეა ხან წყალობით და ხან გაწყვეტილით დატუქსა ისინი. ამიტომ მათ ზავი და შვეიცარია აირჩიეს. შაპ-ყული ხალიფა ძულ-ყადარი, იბრაჰიმ-ხან ძულ-ყადარი, ალი-სულთან ძულ-ყადარი, სუნდუქ-ბეგ ყორჩიბაში ავშარი, შაპ-ყული-სულთან ავშარი და მაჰმუდ-ხან ავშარი სასახლეში მოვიდნენ და ფიცი დასდეს, რომ არ იჩსუბებენ და არ უმტრობენ ერთმანეთს, ვადრე ცოცხალი არიან.

ამის შემდეგ ჩატულის საფარველმა შაპეა უამრავი ჯარით გაილაშქრა საქართველოზე, გადაიარა შურაგელი და აკ-შიპრს მივიდაჭიმ დღეებში დილიდან საღამომდე თოვდა განუწყვეტლივ. როგორც გულუხვი ადამიანის ხელიდან იფრქვევა ვერცხლი, ისე აფრქვევდა ლრუბელი მიწაზე თოვლს, // ხოლო მთა ისე ძრწოდა სიცივისაგან, როგორც ძრწის შიშისაგან სარწმუნოების მტრის გული. ასეთს მდგომარეობაში ძლევამოსილმა ხელმწიფე თავდასხმა მოახდინა ღამით ურწმუნო [ქართველებზე]. // ისლამის ლაშქარი რომ დასაღუპავი ურწმუნოების სამყოფელს მივიღა, სარწმუნოები-სათვის ბრძოლის მახვილი შურისძიების ქარქაშიდან იძრეს, მათი (ქართველთა) სისხლით თოვლი ვარდისფრად შელებეს, მრავალი ძროხა და ცხვარი ნადავლად ხელთ იგდეს და მათ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. მაშინ მზე თხის ჩეის ზოდიაქოს ბოლოში იყო. ძლიერი სიცივისაგან მდინარე მტკარი გაყინულიყო და წმინდა ვერცხლს ჰგავდა. დიდი თოვლისაგან მთა და ბარი გასწორებულიყო. თითქოს ამის შესახებ უთქვამს ქემალ ისმაილს<sup>58</sup>:

მსგავსად ბაშაში მოქალათებული თესლისა  
მთები დამალულია თოვლში.

იმ ხანებში ამ სტრიქონების დამწერი, ამირ-სულთან რუმლუს შეილიშვილი ჰასანი, ჩაფანისა და რუმლუს [ტომის]. ყორჩიების ერთი რაზით ურჯულო [ქართველთა] ერთ ჯგუფს შეხვდა. [მე],

უკნინესმა, და ჩაფანის ერთმა ყორჩიმ, სახელად შაპ-ყულიმ, შევჭ-ტიეთ მათ, გავფანტეთ, რამდენიმე კაცი დავჭერით და დავხოცეთ, რამდენიმეც ტყველ წამოვიყვანეთ და გამოვბრუნდით. ჩვენთან მყოფი დიდად გულადი ღაზიები თავს იყავებდნენ და ნაბიჯს არ დგამდნენ წინ. რჯულის საფარველი შაპი აყ-შაპრიდან დაიძრა და თობდიში<sup>59</sup> წავიდა. გზაში ლევანი — ზაგემისა და გრემის ჰაქიმი და საქართველოს ჰაქიმი ბაში-აჩუკი მეფეთა საფარველ სასახლეში მოვიდნენ და განდიდებულ იქნენ ხელმწიფის ალერსით. ბაში-აჩუკმა შაპისაგან ნაბორები ხალათი ჩაიცა და თავის სამფლობელოში დაბრუნდა. ლევან-ბეგმა რამდენიმე დღე დაპყო ბედნიერ ხელმწიფესთან და უავგუსტოეს მეჯლისში მსახურობდა. რჯულის საფარველმა შაპმა მას დიდებული ხალათები, მრავალი საჩუქარი და ნაჩიარად მატარებელი ცხენები უბოდა. შემდეგ მან წასვლის ნებართვა მიიღო და თავის ქვეყანაში გაემართა<sup>60</sup>.

### ცხრას ორმოცდათექვსმეტი (1541) წლის ამბები სხვადასხვა ამბები

ამ წელს ოსმალეთის ხელმწიფემ სულთან სულეიმანშა აპედ ფაშა, რომელიც მეორე ვაზირი იყო, ორმოცი ათასი ცხენოსანი და ქვეითი ჯარით საქართველოში გაზიარდა. მათ იოღუს დად ელი, რომელიც ყვარყვარეს ეკუთვნილა, და თავის ქვეყანაში წავიდნენ.

### თხრობა ცხრას ორმოცდათვრამეტი (1551) წლის ამბების შესახებ

ქვეყნის საფარველი შაპის წასვლა შაქზე და  
მისი დაპყრობა

რადგანაც დერვიშ მოპამედ-ხან შაქელმა ისევ გამოიჩინა ურ-ხობა, ამიტომ რჯულის საფარველი შაპი შაქის ველაიეთს გაემართა მრავალრიცხვანი ჯარით და ქალაქ არეშში დაღვა. შაშინ საქართველოს ვალიმ ლევანმა წელზე შემოირტყა მორჩილებისა და მსახურების საჩტყელი და ცასავით დიდებულ ჯარს შეუერთდა<sup>61</sup>. ძლევამოსილი ღროშები შაქისაკენ [დაიძრა]. დერვიშ მოპამედ-ხანმა თავი აარიდა ბედნიერი ღროშების შეხვედრას. რჯულის საფარველმა შაპმა მისი შეწყალება ინება, მაგრამ იგი თავისი უვიცობით ციხის სიმტკიცეს დაენდო. ამის გამო [შაპი] განრისსდა და ბედირ-ხანი და შაპ-ყული-სულთან უსთაჭლუ წინამავლად გაგზავნა. ისინი შევდნენ მოპამედ-ხანის ყარაულებს, დაამარცხეს ისინი და ამირ იუსუფი, რომელიც შაქის ჰაქიმის მოურავი<sup>62</sup> იყო ტყველ

ჩიაგდეს და ქვეყნის საფარველი [შაპის] კარზე გაგზავნეს. ვანკი-თხეის დღესაცით [საშინელი] ჭარის სელამ ის უბედური ქვეყანა ზანზარსა და ალიაქოთში ჩააგდო. დერვიშ მოპამედ-ხანმა რომ მსოფლიოს ხელმწიფის წამოსვლის ამბავი გაიგო, ჯოუშან-აღას ძმა მაჰმუდ-ბეგი ურწმუნოთა ერთი რაზმით გიშის ციხის მცველად დასტოვა, ხოლო თვით რამდენიმე უგუნურთან ერთად გელასან-გორასანის მაღალ ციხეს შეაფარა თავი.

ელბორზის მთის შუა კალთაზე მათ გაკეთებული ჰქონდათ სილნალი<sup>64</sup>. ქვეყნის საფარველი შაპი ცხენს შეჯდა და ციხის ასაღებად გაემართა. სუნდუქ-ბეგ ყორჩიბაში, ბედირ-ხან უსთავლუ და შაპ-ყული-სულთან უსთავლუ გიშის ციხეს გარს შემოერტყნენ, ხოლო შაპ-ყული ხალიფა მორდარი და სხვა წარჩინებული ამირები სილნალის პირისპირ ჩამოხდნენ, აბდულა-ხანი და საქართველოს პატიმი ლევანი კი გელასან-გორასანის ციხის წინ დადგნენ.

შაპ-ყული ხალიფა მორდარმა ძლევამოსილი მამაცების რაზმით სილნალს ბრძოლა დაუწყო. მოწინააღმდეგებმა მათ თოფები დაუშინეს და უკუაქციეს. ისინი სრულიად მოიცვა შიშმა. აბდულა-ხანმა და ლევან-ბეგმა ძლევამოსილი ლაშქრის ერთი რაზმით გელასან-გორასანის ციხეს დაუწყეს ბრძოლა და იმათაც წინააღმდეგობა გაუწიეს, [მაგრამ] როცა დაინახეს ძლევამოსილი ჭარის შემოტევა, ზურგი იბრუნეს და გაიქცენენ. მამაცი მეომრები მათ დაედევნენ და მთაზე ავიდნენ. როცა ძლევამოსილმა დროშებმა იმ ხეიბერისნ მსგავს ციხეს გადააფინეს ჩრდილი, მამაცები წინ წადგნენ და სიბები მოაწყვეს, ბადლიჯებით<sup>65</sup>, ევროპული ზარბაზნებით და სხვა იარალით ებრძოდნენ ციხეს. მეზარბაზნებმა ზარბაზნების სროლა იწყეს. უშიშარმა მეომრებმა კვლავ გამოიჩინეს სიმდმაცე და ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით ზარბაზნისა და თოფის ცემა გაიძართა. მტრის ერთი რაზმი [ციხიდან] გამოვიდა, რამდენიმე კაცი მოკლა ამირების მსახურთა რიცხვიდან, სწრაფად გაბრუნდა უკან და ციხეს მიაშურა. ლაზიებმა ზარბაზნებიც აიტანეს მაღლა და მთის მსგავსი ქვემებებიდან [ნასროლი] ზარბაზნის შურვები იმ ცის სადარი ციხის თავზე ჩნდებოდა თანახმად გამოთქმისა — „და ვაწვიმეთ მათ ჯოჯოხეთური ქვები“. ოცი დღის შემდეგ, როცა ევროპული ზარბაზნებისა და ბადლიჯების ცემისაგან ციხის კოშკი და გალავანი შეირყა, პასან-ბეგ ოლლი დაახლოებით ათასი მეთოფეთი ავიდა მთის კალთაზე, რომელიც ციხის ახლოს იყო აღმართული, და საღაც კი ერთი თითის ზომაზე გამოჩნდებოდა ვინეს თავი კლშქიდან, ას ტყვიას აყრიდა ზედიზედ. ერ-

თი მხრიდან აგრეთვე ნაღმი შეთხარეს და კოშკს შეშა შემოუწყვეს. ვიდრე ცეცხლს წაუკიდებდნენ, კოშკი წაიქცა. ციხეში მყოფი მწუხარებამ და შეშფოთებამ მოიცვა. მაპმუდ-ბეგმა სისუსტისა და უმწეობის მოედანზე სინანულის ბურთის გათამაშება იწყო და იძულებით მორჩილებამდე მისულმა, დანებება და ვედრება პპოვა გადარჩენის საშუალებად და შველის საბაბად. ციხისთავი მაპმუდ-ბეგი სიმაგრიდან გამოვიდა. ის განდიდებულ იქნა [შაპის] ნოხის კოცნის ბეგნიერებით და ციხის კარების კლიტები გადასცა [მას]. ქვეყნის საფარველმა შაპმა თავისი დიდი მოწყალების გამო აპატია მას შეცოდება. ის სახელოვანი ციხე, რომელიც არასდროს არ ყოფილა დაცურობილი, აღებულ იქნა სულ რამდენიმე დღეში. ძლევამოსილმა ჯარმა, უკეთილშობილესი ხელმწიფის ბრძანების თანახმად, იმ ციხის კოშკი და გალავანი მიწასთან გაასწორა.

სარწმუნოების საფარველი შაპი ცხენს შეჯდა და სიღნაღისა-კენ გაემრთა. მისი უდიდებულესობის თავზარდამცემი ლაშქარი რომ დაინახა მოწინააღმდეგებ, ნაღველი წყლად ექცა შიშისაგან. გაიგეს რა გიშის ციხის აღების ამბავი, სიღნაღის დამცველები ჯაფუფ-ჯაფუდ მოვიდნენ [შაპის] ცის საღარ კარზე და სისუსტის სახე დამცირების მიწაზე დასდვეს. ასეთი მდგომარეობის მნახველი დერვიშ მოპამელ-ხანი შეშფოთდა და დიდი შიშისა და შეძრწნების გამო ერთ ღამეს ციხიდან გამოვიდა. უსაზღვრო დაბნეულობისაგან არ იცოდა საღ მიღიოდა; აბდულა-ხანისა და ლევან-ბეგ ქართველის ბანაკის მიდამოებზე გაიარა. ამ დროს ის მოპკლა ქისა ფირ-ყულიმ, რომელიც ჩერენდაბ-სულთან შამლუს ერთი დაბალი მსახურთაგანი იყო, და მისი თავი სახელმწიფოს ტახტის ფერხთ მოიტანა. იმ ოთხასი კაციდან, რომელნიც მასთან ერთად გამოიქცნენ ციხიდან, ორას ორმოცდაათი მოკლულ იქნა.

სარწმუნოების საფარველმა შაპმა შაქის მთელი მხარე დაიპყრო. ხუტბა. და სიქა<sup>67</sup> გაიფურჩქნა და განახლდა კეთილშობილი სახელით და უმაღლესი ტიტულით.

იმ ქვეყნის მმართველობა [შაპმა] თეიუც-სულთან ყაჯარს მისცა. ამ დროს გიშის ციხის უფროსი მაპმუდ-ბეგი, რომელიც უსაფუძვლო შიშმა შეიპყრო, ბანაკიდან გაიქცა.

ქვეყნის საფარველი შაპის მესამედ გალაშქრება  
საქართველოსაკენ და იმ ურჯულო ურჩითა  
დახოცვა და ამოწყვეტა

იმ დროს, როცა მაღალი ურდო შაქს იყო, ყვარყვარეს შეიღლა ქახოსრომების რამდენიმე აზნაური გამოგზავნა შაპის კარზე და

დაბმარება ითხოვა, რაღგან ვახუშტი ქართველმა და ლუარსაბ შერმაზან ოღლიმზე მისი სამფლობელოების ნაწილი დაიჭირეს.

ამასობაში ამბავი მოვიდა, ისეანდერ ფაშა<sup>70</sup> საქართველოში მოსულა და არტანუჯის ციხისათვის ალყა შემოურტყამსო. ამიტომ საჩრდინების საფარველმა შაპმა საქართველოსაკენ გაილაშქრა. ძლევამოსილი ღაზიები იმ ურჯულოთა ქვეყნის მთასა და ველს მოედნენ და ყოველი მთა და ფერდობი, სადაც იმ გზადაკარგული ხალხის თავშესაფარი იყო, მამაცების დარტყმითა და ცემით მიწასთან გაასწორეს და ვერც ერთმა ურჯულომ ცოცხალმა ვერ გააღწი ბრძოლის ველიდან. ალაპი შეიცნობს ურწმუნოებს! მოკლულთა ცოლ-შვილი, მოწყობილობა და ქონება გადაეცა მკვლელებს, როგორც კანონიერ მექვიდრეთ. ფერიების მსგავსი ქართველი ლამაზმანები ტყვედ წაიყვანეს. [ქართველთა] ერთმა ნაწილმა თავი შეაფარა მაღალ მთებსა და მაგარ გამოქვაბულებს, ზოგი გაძაგრდა მნიშვნელობის და დარწევის ციხეში<sup>71</sup> / ვარძიის ციხეში<sup>72</sup> და ეკლესიაში, რომელიც ღვთის მიერ შექმნილ საკიორველებას წარმოადგენს. ისლამის ლაშქარმა მამაცურად ხელი მიჰყო მათ ხოცვა-ულეტას და ელვარე მახვილისა და ცეცხლის მფრქვეველი შებების ცემით რამდენიმე ათასი ურწმუნო მოკლეს, თანახმად გამოთქმისა — „ორგულნი ჭეშმარიტად ჯოჯოხეთის ფსკერზე მოხვდებიან“. თმოგვის ციხე ასმდენიმე სხვა ციხესთან ერთად დაჰყრობილ იქნა. თმოგვის ხეობაში ურწმუნონი შალილ აღგილებსა და ქვაბებში ასულიყვნენ კიბეებით. [კიზილბაში] ცენონსნებისა და ქვეითების ერთი ჯგუფი მათემატიკოსის მიერ გაჭიმული თოვივით სწორად გამწურივებული აღიოდა იმ ცასავით შალილ მთაზე და გამოქვაბულთა კარებზე იჩეოდა ძარცვა-გლეჭისათვის, როგორც ფუტკარი სკების წინ. მათ დაიწყეს გამოქვაბულებში დაგროვილი ქონების ძარცვა და იმ ფერის სახის მქონე ქაბუკების ჯგუფ-ჯგუფად გამოყვანა, რომელნიც ტყვეობისა და გაძარცვის შიშით ქვაბებში დამალულიყვნენ ისე, თითქოს მეორეჯერ მოქცეულიყვნენ დედის საშოში. ზოგი წყურვილისაგან მეტად შეწუხებული უკიდურესობამდე იყო მისული.

ამასობაში მოამბეების ერთმა ჯგუფმა ჩაულის საფარველ შაპს მოახსენა: ქართველი აზნაურების მრავალრიცხვანი რაზში, რომელიც ვარძიის ციხესა და ეკლესიაში იმყოფება, გამვლელ-გამოვლელთ აწუხებსო. ამის გამო შაპმა ბრძანა, რომ ბედირ-ხან უსიარესულ, შაპვერდი-სულთან ზარდ ოღლი ყაჯარი და აღი-სულთან თაქალუ წასულიყვნენ იმ ციხისაკენ. სახელოვანი ამირები იმ ციხეს გარს შემოერტყნება. ხსნებული ციხე აგებული იყო მთის კალთაზე [მრებარე] კლდის ერთ ნაჭერზე თმოგვის ხევის პირას, ძღინა-

რეზე, რომელიც მტკვრის სათავეს წარმოადგენს. მიუვალობით ის ალექსანდრეს კედელს და ხებბერის კოშკს ედრება, სიმაღლით კი— ლურჯ ცას.

ხსენებული ციხის შუაში ათი წყრთის სიმაღლის აღგილი გა- მოეჭრათ [კლდეში] და ეკლესია მოეწყოთ ოთხი ფართო სადგომით და გრძელი ტალანით. კედელი გარეთ და შიგნით ოქროთი, ლაუ- გარდით და კერპთა გამოსახულებებით იყო მოხატული. შეორე სადგომში მოეწყოთ ტახტი და დაედგათ ძვირფასი თვლებით შემ- კული ოქროს კერპი. ორი თვალის მაგივრად იმ უსულო სხეული- სათვის ორი ბრწყინვალე ლალი ჩაუსვამთ. აგრეთვე ხსენებული ეკლესის გარეთ [იწყებოდა] მეტად ვიწრო და ბნელი გზა, დაახ- ლოებით ას ორმოცდაათი წყრთის სიგრძისა, რომელიც ზემოთ ადიოდა და კლდეში იყო გამოჭრილი. ორი ფარული კოშკი ჰქონ- დათ გმართული უამთა ტრიალისა და მოულოდნელი შემთხვევისა- თვის. გარეთა სადგომებს გაეკეთებული ჰქონდა რკინისა და ფოლა- დის კარები და ერთი კარიც ოქროსი გაეკეთებინათ. შიგნითა სად- გომისათვის.

ერთი სიტყვით, ძლევამოსილმა და გულადმა ღაზიებმა შეუ- ტყის... ამის მხილველი ურწმუნონი თავზარდაცემული და გაქვავე- ბული იყვნენ და მძინვარე ლომის შემოტევის მნახველი ნადირის მსგავსად გაშეშებულნი ადგილიდან ვერ იძროდნენ.

ძლევამოსილი ლაშქარი შემოქმედის შემწეობით ციხეზე ავი- და. ისლამის სარწმუნოებისათვის თავდადების იარაღი და სალვონ რმის მახვილი ალესეს და დახოცეს ურწმუნონი, ხოლო შათი ცო- ლები და შვილები დაატყვევეს.

რჯულის საფარველი შაპი დიდებულ ამირებთან ერთად ექლე- სიაში მივიდა. ოცი ცუდბუნებოვანი, საზიზარი, მუდამ დაუბანე- ლი მღვდელი მოქლეს იქ ზარი, რომელიც სამოცდაათ მანს<sup>73</sup> იწო- ნიდა და შვიდგზის იყო ჩამოსხმული, დაამსხვრიეს, როგორც [და- იმსხვრა] მათი (ქართველების) სიცოცხლის ჭურპელი.

რკინისა და ოქროს კარები მოგლიჯეს და ბედნიერ ხაზინას გადასცეს. ბედირ-ხან უსთავლუმ დაამტკრია ოთხი სანთელი, რო- მელთაგანაც თვითეული იმ არამზადა ურწმუნოებს სამოცი მანი ცვილისაგან ჩამოქენათ და მათი შუქით თვისი არსებობის კალო დაეწვათ. რჯულის საფარველმა შაპმა დიდბალი სიმდიდრე და აუარებელი ქონება იგდონ ხელთ. მათ შორის იყო ორი ლალი, რომ- ლებიც ორი თვალის აღგილს ჩაესვათ იმ კერპისათვის. თვითეუ- ლი მათგანი ორმოცდაათი თუმანი ლირდა. ციხე მიწასთან გაას- წორეს; ჩაკი საქართველოს პაქიმებმა ვერ შეძლეს სხვაგან სადმე ჭასვლა, ძალაუნებურად დამორჩილდნენ და [შაპის] მაღალ კარზე

მოვიღნენ. პირველად ომან-ბეგ<sup>74</sup> ქართველი, ლუარსაბ შერმაზან მოვიღნენ რიგ-რიგობით სამეფო კარზე. მისმა უდიდებულესობამ კეთილგანწყობილების ჩრდილი მოპფინა იმ ქვეყნის დაცვას.

ამ დროს [შაპის] კარზე მოვიდა ქაიხოსრო, ყვარევარეს შვილი, მრავალი ძლევით, და რჯულის საფარველმა შაპმა მას უწყალობა თმოვის ციხე აყ-შაჰრთან ერთად. ვახუშტი ქართველი, და შერმაზან ოღლი, რომელნიც იმ ქვეყნის პაქიმები იყვნენ, სიკვდილით დასაჭეს.

როცა დიდებულმა მნათობმა (მზემ) ჩრდილი სასწორის ზოდიაქოს გადაპოვინა, თირმაპის თვის<sup>75</sup> ლაშქარმა ბალში საქმობა დაიწყო და ხეები მიჯნურთა სახესავით ოქროთი მოხატა, ბალ-ბოსტნის რეპანი ქარვისტრად იქცა და სიცხის ლაშქრის დამარცხების ფამი პაერი ზომიერი შეიქნა, — მეფური სადავეები ლუარსაბ დავითის ძის ქვეყნისაკენ იქნა მიმართული. ძლევამოსილმა კარმა დაარბია საბარათიანოს მხარეები და ისლამის გამარჯვების დროშები ააფრიალა. ბევრი ნადავლი წამოილეს და ღაზიებს მრავალი პირ-ტტყვი და სხვა საქონელი ერგოთ წილად<sup>76</sup>.

ცასავით დიდებული ურდო ყარაბალისაკენ წავიდა და იმ მხარეში დადგა საზამთროდ.

### თხრობა ცხრაას ორმოცდაცხრამეტ (1552) წელს მომხდარი ამბებისა

სარწმუნოების საფარველი შაპის გალაშქრება  
რუმის ქვეყანაში და იქაურობის დარბევა

ისქანდერ ფაშა, რომელიც სულთან სულეიმანის მიერ არზ-რუმის პაქიმად იყო დანიშნული და რომელმაც ხიოში მოკლა პაჭი-ბეგ დუმბული, ჩოხურ-საადში მოვიდა, დასწვა ბაზრები და ბოლოს ყველა ამის გამო გაამაყდა და რამდენიმე ზომას გადასული წურილი მისწერა სახელოვან [ყიზილბაშ] ამირებს. ამაზე ხელმწიფე განრისხდა და გამოვიდა უმაღლესი ფირმანი, რომ შეკრებილიყო ქვეყნის კარები გამარჯვების დროშის ჩრდილში, რომელიც ძლევისა და გამარჯვების მზეს უსწორდება.

ბრძანების თანახმად ქვეყნის საფარველი სასახლის კარზე, კარი შეიკრიბა. შაპმა ბრძანა, ძლევამოსილი მეომრების ითხი რაზმი ცალ-ცალკე გაემართოს სალაშქროდ. მათ შორის შასუმბეგ სეფევი, ალაპ-ყული-ბეგ ასპაქ ღლი, ალი-სულთან თაქალუ, შამს ედ-დინ-ხანი — შერეფ-ხან ქურთის<sup>77</sup> შეილი, ხალიფე ანსარი, პამზა-ბეგ თალიში, ულულ-ხან-ბეგ საადლუ და სხვა ამირები არ-

ჯიშსა და ბარგირს<sup>78</sup> გაემართნენ, შაჰვერდი-სულთან ზიად ოლღი და ედქემ-ბეგ რუმლუ ბასინისაკენ წავიდნენ და იბრაჰიმ-ხან ძულ-ყაღარი, შაჰ-ყული-სულთან ავშარი და ჩერალ-სულთანი, რომელ-ნიც იმ დროს ფარსში იყვნენ, არაბეთის ერაყზე თავდასასხმელად გაიგზავნენ, ხოლო ბაირამ-ბეგ ყაჯარი, თეიყუნ-სულთან ყაჯარი და საქართველოს ვალი ქაიხოსრო, დად ელის დასაცყრბად და იმ სანების დასარბევად დანიშნეს. სახელოვანი ამირები უმაღ-ლესი ბრძანების შესრულებას შეუდგნენ. თითოეული რაზმი და-უყვნებლივ გაემართა მითითებული მხარისაკენ.

... ამ დროს საქართველოდან ამბავი მოვიდა, ისქანდერ ფა-შამ გაიმარჯვა ბაირამ-ბეგ ყაჯარზეო. ეს ასე მომხდარა.

როცა ბაირამ-ბეგი ქაიხოსრო ქართველთან ერთად წასული იყო და ელში და ორი-სამი ციხე [უკვე] დაცყრბილი პქონდათ. ამ დროს არზრუმიდან მათზე გამოილაშერა ისქანდერ ფაშამ დი-დი ჯარით და მოულოდნელად დაესხა თავს ამირების ბანაქს. ბაი-რამ-ბეგი და ქაიხოსრო იმ დღეებში სათარეშოდ იყვნენ წასული: თეიყუნ-ბეგ ყაჯარი და ბედირ-ბეგ უზბაში, რომელნიც ბანაქში იყვნენ, იძულებული გახდნენ გასულიყვნენ [მტრის] შესახვედრად და ვაუკაცობაც გამოიჩინეს. ისქანდერ ფაშამ სამასამდე ღაზი და ქართველი მოჰკლა და იმ ადგილიდან არზრუმს დაბრუნდა.

### თხრობა ცხრაას სამოცდაერთ (1553/4) წელს მომხდარი ამბების შესახებ

#### ქვეყნის/ საფარველი შაპის მეოთხედ გალაშქრება საქართველოზე

ამ დროს მსტორებმა ქვეყნის ხელმწიფეს მოახსენეს: თავის სიმრავლეზე, დამოუკიდებლობაზე და მაღალ მთებსა და ბორც-ვებზე დაწლობილ ურწმუნოებს (ქართველებს) ურჩობის გზაზე შეუდგამთ ფეხი და მუსლიმანთა ქვეყნებს აწუხებენ.

როცა ამ ამბავმა ხელმწიფის მაღალ სმენას მიაღწია, სარწ-მუნების საფარველი შაპი ჯარით საქართველოსაკენ გაემართა და საბარათანოში დადგა. მთელი ის ქვეყანა ტყე იყო ისეთი, რომ ხეებში, მათი სიხშირის გამო, სიო გაჭირვებით იძვროდა. როცა ძლევამოსილი ლაშქრის წამოსვლის ამბავმა გარყვნილ ურწმუნო-ებამდე მიაღწია, ყველანი აქეთ-იქით გაიფანტნენ და გაინდნენ ძლი-ერი შიშისაგან. დავითის შვილმა ლუარსაბმა, რომელიც იმ ქვეყნის ვალი იყო, აღარ მიხედა არც ციხეებს, არც ქვეყანას, არც ხალხს და აღარც ოჯახს, ცოცხალ-მკვდარმა ათასგვარი ხრიკებით დააღ-წია თავი იქაურობას და თავშესაფარში შეიხიზა. დანარჩენ ქართ-ველებს ამ ამბისა და ქოს-ნალარის ხმის გაგონებაზე ნაღველი ჩა-

ექცათ და ლვიძლი დაეფლითათ ზღვასავით მღელვარე და მეხივით მეუხარე ჯარის შიშით. ძრწოლვისა და ელდის ცეცხლი მოედო მათი სიმტკიცისა და უდრეკელობის კალოს, სისუსტის ხელი გაქცევის კალთას ჩასჭიდეს და მთებს, გამოქვაბულებსა და ტყეებს მიაშურეს, ხოლო ნაწილი ძლიერ ციხეებში გამაგრდა. ლაზიები ტყეში შევიდნენ და უმეტესობა იმ ურჯულოებისა შეუბრალებელი ხმლით დახოცეს, თანახმად გამოთქმისა — „და შეებრძოლეთ ყველა ურწმუნოს ერთად“! მათი ცოლები და შვილები დაატყვევეს და მრავალი მსხვილება საქონელი და ცხვარი ხელში ჩაიგდეს.

აქედან ქვეყნის დამამშვენებელი დროშები გაემართა გორისაკენ, რომელიც ლუარსაბის სატახტო ქალაქი იყო, და ძნელი გზით გაიარეს ხშირი ტყეები. ძლევამოსილმა ჯარმა ის. მხარეც მოაზიარდა და ნადავლად ვარდლაშვებიანი ქალიშვილები და მზიური სახის ყმაშვილები ჩაიგდო ხელში.

[ამის შემდეგ] ძლევის დროშებმა თვისი ჩრდილი მძორეთის ციხეს<sup>79</sup> მოფინეს. ეს იყო ციხე, რომლის გალავნის სიმაღლე სატურნის პოვების სცილდებოდა... არასოდეს მუსლიმანური დროშების სხივებს იმ მთიანეთის პორიზონტზე არ გაუნათებიათ და საფეხით კეშმარიტი სარწმუნოების მნათობი სინათლისაგან ბედნიერების დილა იმ ციხის მიღამოებში არ გათენებულა. ბრძანების თანახმად, ძლევამოსილი ჯარი იმ სიმაგრეს შემოადგა და ციხის ოლებას შეუდგა. თავისი ციხის სიმაგრით გაამაყებულმა ურჯულო ქართველებმა წინააღმდეგობის გაწევა იწყეს. ბედნიერმა ამირებმა და სახელოვანმა ლაზიებმა ყოველი მხრიდან იწყეს გრძოლა.

ციხისთავი ფარსადანი, ცაზე იერიშის მიმტანი გულადების შემოტევით შეშინებული, სისუსტისა და უმწეობის კაშში შევიდა, მორჩილების ნაბიჯით ციხიდან გამოვიდა და ციხე ჩააბარა<sup>80</sup>.

რჯულის საფარველმა შაქმა ამ ციხის დაპყრობის შემდეგ ატჟნის ციხეზე გაილაშქრა. ეს იყო მეტად მტკიცე და მაგარი ციხე, რომლის კოშკებზე ფრინველსაც არ გადაუფრენია და რომლის პატნეზის კალთებს უამთა მოვლენების ხელი არ მიწვდომა.

ციხის მცველებად იმ დროს აზნაურები იყვნენ. ლუარსაბძე იქ ჰყავდა დატოვებული თავისი დედა. ძლევამოსილმა ლაშქარმა ბრძოლა დაიწყო და თოფისა და ზარბაზნის ცემით და სიმაგრეების ქვეშ ხალმის [ძეთხრით] ის ციხე დაანგრია. სწრაფმა და ძარცვებულადებმა და უშიშარმა ახალგაზრდებმა ერთბაშად მიიტახეს დერიში და ციხეზე ავიდნენ... ქართველების მთელი ბრძოლა ლაზიების უკუსაგდებად გამოემართა და იმ ღვთის მტერმა წარმაზოებმა გრძოლა გააჩარეს ისეთი, რომ ციხს შორსმჭვერეტელი თვალი გაოცებული დარჩა: კოშკებიდან და გალავნიდან ისე ცვილა თავები

უტვიწოდ და ტვინი უთავოდ, როგორც შემოღომის ქარიშხლისა-  
გან ცვივა ხევბიდან ნაყოფი. იმ ცულმაქცევაზ ქართველთაგან  
ცეცხლოვანი მახვილის ცემით ბევრი გაგზავნეს საიქიოს. „შათი  
თავშესაფარი ჯოჯოხეთია, მერედა რა მძიმეა ეს გზა!“ ლუარსაბის  
დედა მრავალ აზნაურთან ერთად დატყვევეს და შაპის კარზე  
ძოიყვანების.

ამ დროს მაცნეებმა მოახსენეს [შაპს], რომ იმ მიღამოებში  
არის ერთი ციხე, სადაც ქართველების ერთ ჯგუფს შეუფარებია  
თავი და წინააღმდეგობის დროშა აღუმართავსო. სარწყუნოების  
საფარველმა შაპმა შაპვერდი-სულთან ზიად ოლლი დანიშნა იმ ცი-  
ხის ასაღებად. ხსენებულმა ამირამ ციხე ბრძოლით აიღო და [შაპის]  
უმაღლეს ბანაქში დაბრუნდა. ძლევამოსილმა ლაშქარმა, შემო-  
ქმედის დახმარებით, იმ ქვეყანაში გარყვნილი და არამზადა ურწ-  
მუნოების ხელში მყოფი ბევრი ციხე ბეღნიერი მკლავის ძალით  
დაიპყრო და ხელო იგდო მრავალი ტყვე, რომელთა რიცხვი ოცდა-  
ათი ათასს აღემატებოდა, და უსაზღვრო ნადავლით ბარდავს მო-  
ვიდა. ენაწყლიანმა მწიგნობრებმა და მჭევრმეტყველმა მდივნებ-  
მა იმ ქვეყნის დაპყრობის ამბავი მუშკივით [სურნელოვან] კალ-  
მით აიტაცეს და [ეს] სასიხარულო ცნობა იმ ქვეყნის მოსახლეო-  
ბას და აზერბაიჯანს, შირვანს, შაქს, ერაყს, ფარსს, ქერმანს, ხო-  
რასანს, სისთანს, ომანის ნაპირებს და ქურთისტანს აცნობეს.

### თხრობა ცხრაას სამოცდასამ (1555/6) წელს მომხდარი ამბების შესახებ

ამ წელს ლუარსაბ ქართველი გორიდან გამოვიდა და ქუშეშის  
ციხის მიდამოებში მივიდა<sup>82</sup>. როცა ამ ამბავმა შაპვერდი-სულთან  
ზიად ოლლიმდე მიაღწია, მან ყარაბალის ჯარი შეაგროვა და შათ-  
ქენ (ქართველებისაკენ) გაემართა. ურწმუნოთა საცხოვრებელ  
ადგილებს რომ მიუახლოვდა, ამბავი მოვიდა, ლუარსაბი გაქცეუ-  
ლაო. ღაზიები ერთბაშად დაედევნენ მტერს, ასე რომ შაპვერდი-  
სულთანთან ორმოცდაათ-კაცზე მეტი არ დარჩენილა. ლუარსაბი  
კი, ღაზიების წარმოდგენის წინააღმდეგ, გორაკზე ასულიყო და  
მრავალრიცხოვანი რაზმით ბრძოლის დაწყებას ელოდა. აშ შხრი-  
დან გულოვანი [ყიზილბაშები] სრულიად ამაყად და თავშობწო-  
ნებდ იმ ადგილს მიადგნენ. ლუარსაბი ღაზიებისაკენ წამოვიდა.  
მაყმა გულოვნებმა მამაცნობა და ვაუკაცნობა გამოიჩინეს, [მაგრამ]  
დამარცხდნენ. შაპვერდი-სულთან ზიად ოლლი გაიქცა. ურწმუნოთა  
ჯარმა სამასი კაცი სახელოვანი გმირი მოჰქლა; მათი (ქართველე-  
ბის) უმრავლესობა ღაზიებს დაედევნა. ლუარსაბი ერთ ეპისკო-

პოსტან ერთად იმ აღვილას დარჩა. ამ დროს მოპამედ-ბედ ჩაფანი<sup>83</sup> რამდენიმე დაუღევარი კაცით შეეჩერა ლუარსაბს და დაურილებლად დაესხა თავს. შაპის ილბალმა მას დახმარება გაუწია, ლუარსაბის ცხენი დაეცა და ლუარსაბი ცხენიდან გაღმოვარდა. მოპამედ-ბეგის ერთი მხლებელთაგანი, სახელად ზაქირი<sup>84</sup>, [ცხენიდან] ჩამოხტა და რამდენჯერმე დაპკრა მას. მაშინ ურწმუნოებმა შემოუტიეს. მოპამედ-ბეგი ლუარსაბის ცხენზე შეჯდა და გაიქცა. ურწმუნოებმა ზაქირი [სხვა] რამდენიმე კაცთან ერთად მოჰკლეს. ხოლო ლუარსაბი, რომელიც ბოროტებისა და შფოთის ამტეხი იყო, მწუხარების თანამდგომელი და სევდისა და დარღის მეინახეც გახდა. მისი წარმართობის ალმები და ცოდვილიანობის დროშები ისლამის ხალხის ძლიერების ხელით დაბრილ იქნა, ის მტკერსავით შთაინთქა ომისა და ცეცხლის მორევში და სულიც ჭოჭოხეთის უფალს ჩააბარა... ურწმუნოებმა აიღეს ლუარსაბის გვამი და თავის ქვეყნისაკენ გაემართნენ<sup>85</sup>.

### თხრობა ცხრაას სამოცდაოთხ (1558/7) წელს მომხდარი ამბების შესახებ

სხვადასხვა ამბები

ამ წელს შაპვერლი-სულთან ზიად ოლლი და სულეიმან-ბეგ ბაიათი ყარაბაღის ლაშქრით საქართველოსაკენ გაემართნენ. სიმონმა<sup>86</sup> მაღალ მთებს შეაფარა თავი ქვეყნის დამწველი ჯარის შიშით. ღაზიებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ველაიეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს [მიწიდან] და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განგაში დაბრუნდნენ<sup>87</sup>.

ამ დროს სარწმუნოების საფარველი შაპი თავრიზში იყო: თაბით-ალა ძულ-ყადარი, რომელიც რუმში იყო გაგზავნილი ელჩად, ქვეყნის საფარველ სასახლეში დაბრუნდა და ხონთქრის მიერ გამოგზავნილი ურიცხვი საჩუქარი და ძლევი მოაროვა [შაპს].

### ცხრაას სამოცდა შვიდი (1559/60) წლის ამბები

სხვადასხვა ამბები

ისა-ხანის მოსვლა

ამავე წელს ისა-ხანი, საქართველოს მართველის ლევანის შვილი, ისლამის მიღებით გაბეღნიერდა და ქვეყნის საფარველმა შაპმა მას წყალობის თვალით დაუწყო ცქერა<sup>88</sup>.

თხრობა-ცხრას სამოცდა რვა (1560/1) წლის ამბების შესახებ  
შაპვერდი-სულთანის ბრძოლა ქართველებთან და ლეგანის  
შვილის გიორგის მოკვლა.

ამ წელს საქართველოს მეფე სიმონი ლევან-ზეგის შვილ  
გიორგისთან ერთად ციხე ქუჩის<sup>89</sup> მიდამოებში მივიდა, რათა იე-  
რიში მიეტანა თბილისზე. მათ დაგზავნეს შიკრიკები საქართველოს  
[სხვადასხვა] მხარეში და იმ ქვეყნის ჯარი მოითხვეს. მოკლე ხან-  
ში იმდენი დაკაზმული მამაკაცი და ახალწვეული ჭაბუკი შეიქრი-  
ბა იქ, რომ არასოდეს ნახულიყო იმ ქვეყანაში. როცა მათმა ამ-  
ბავმა შაპვერდი-სულთანის ყურადღე მიაღწია, ის განჯიდან გამოვი-  
და და ყარაბაღის ჯარით ურჯულო მტრების აღმოსაფხერელად გა-  
ემართა. ერთი რაზმი მან წინამავლად გაგზავნა. მათ ამოავსეს ხან-  
დაკი, რომელიც ქართველებს გაეკეთებინათ იმ იწროებში, და  
[ამის შესახებ] აცნობეს სულთანს. იმანაც ხანდაკი გადაიარა, მთე-  
ლი სისწრაფით იარა და ქართველებამდე მიაღწია. ღაზიებშა თვი-  
სი ვედრება ღვთისაღმი აღავლინეს. ღაზიების მშვილდოსნებმა მათ  
(ქართველებს) შეუტიეს და სიმონის და გიორგის მხრიდანაც შუ-  
რისძიების ველზე [მებრძოლმა] აზნაურებმა და მამაცმა ბელადებ-  
მა ხელი ისარსა და მშვილდს, ხმალსა და შუბს იკრეს...

ბოლოს ძლევამოსილმა და მამაცობის ზღვის ნიანგებმა — ღა-  
ზიებმა იმ ბედრკულ ურწმუნოთა ხროვა ცხენებიდან მიწაზე გად-  
მოყარეს. ამ დროს შაპვერდი-სულთანი ლაშქრის ცენტრით ეძვე-  
რა მათ. ურწმუნოები უბრძოლველად გაიქცნენ.

გიორგი, როგორც მძვინვარე მელა<sup>90</sup>, რომელიც გაურბის გა-  
აფთრებულ ლომს, გაქცევის ხევისაკენ გაეჩქარა. ყაჯართა ლაშქ-  
რის ლომებმა ის ძალის მსგავსები გაანადგურეს და თითო-თითოდ  
მოსპობის მიწაზე დაანარცხეს. გიორგი ათას კაც ურჯულოსთან  
ერთად მოკლეს, ხოლო ზაზა-ბეგი, რომელიც საქართველოს ერთი  
პატივცემულ ამირთაგანი იყო, რამდენიმე აზნაურთან ერთად და-  
ატვევეს და რჯულის საფარველი შაპის კარზე გაგზავნეს. იმ  
ბრძოლაში ქართველების მცირე რიცხვთან ერთად გადარჩებილი  
სიმონი გორის გზით წავიდა, ხოლო შაპვერდი-სულთან ზიად ოლ-  
ლი მრავალი ნაღველით განჯას დაბრუნდა<sup>91</sup>.

როცა ლევანმა ეს ამბავი შეიტყო, გულიდან ცეცხლის ალი  
ცამდე ააწვდინა და თვალთა შადრევნიდან სისხლის წყალი მიწაზე  
დაღვარა. კველა ქართველმა შავი ჩაიცვა.

თხრობა ცხრაას სამოცდაცხრა (1561/2) წლის  
ამბების შესახებ

დავით-ხან ქართველის მოსვლა და გამუსლიმანება

ამ წელს, რაბი ოს-სანის თვის ჩვიდმეტს, დავით-ბეგი, ლუარ-  
საბის შეილი, რამდენიმე აზნაურით საქართველოდან ყაზეინს მო-  
ვიდა [და] მუსლიმანი გახდა. რჯულის საფარველმა შავმა თბილი-  
სის გმეგებლობა მას უწყალობა <sup>92</sup>.

თხრობა ცხრაას სამოცდათი (1562/3) წლის  
ამბების შესახებ

ლევან-ბეგის შვილის ისა-ხანის დაჭრა

როცა ლევანის შვილმა ისა-ხანმა მაღალ პატივს მიაღწია, სა-  
ხელმწიფოს ყველა ამირასა და დიდებულთა [შორის] უწარჩინებუ-  
ლესი გახდა. ყოველწლიურად ექვსი ათასი თუმანი, ოლქი და  
[სხვა] წყალობანი დაუმტკიცეს. ზოგიერთი მატყუარა და ურწმუ-  
ნო შფოთის ამტეხის მიერ მოტყუებულმა და შეცდომაში შეყვა-  
ნილმა, მან მოულოდნელად უარყო ისლამის რჯული და გაქცევა  
დააპირა. „ვინც თავის სარწმუნოებას განუდება, ის მოკვდება და  
ურწმუნო დარჩება“. ერთმა მისმა დაახლოებულმა მსახურმა ეს  
ამბავი რჯულის საფარველ შავს მოახსენა. ამიტომ, ოთხშაბათს, რა-  
ბი ოს-სანის თვის ოცდაექსს, ის დაიჭირეს და ალამუთის ციხეში  
გაგზავნეს <sup>93</sup>.

ცხრაას სამოცდათოთხმეტი (1566/7) წლის ამბები

გარდაცვალებანი

სულთან სულეიმან ბენ სულთან სელიმ ბენ სულთან ბაია-  
ზიდ ბენ სულთან მოპამედ ბენ სულთან მურად ბენ სულთან შოპა-  
მედ ბენ ილდირიმ ბაიაზიდ ბენ სულთან მურად ბენ ურხან ბენ  
სულთან ოსმან ბენ ართოლრულ ბენ სულეიმან ბენ ყია ალბ, რობ-  
ლის [შთამომავლობაც] რამდენიმე თაობის მეშვეობით ოლუწ-ხა-  
ნამდე აღწევს, — სიგეთის ციხის მიღამოებში ყოფნის დროს  
ავად გახდა. მისი ავადმყოფობა თანდათან მატულობდა და მდგო-  
მარეობა დღითი დღე უარესდებოდა. ეს კურთხეული ფადიშაპი,  
რასაქვირველია, შეურიგდა ამ გარდუვალ ამბავს, რომელსაც ვერ  
გაექცევა ვერც დიდი და ვერც პატარა, მოიხმო დიდი ვეზირი შოპა-  
მედ ფაშა, ჩააბარა მას ურუმის ქვეყანა, დანიშნა სულთან სელი-  
მიდ <sup>94</sup> თავის ტახტის მემკვიდრედ და თვით საიქიოს გაემართა. მან  
სამოცდათოთხმეტი წელი იცოცხლა, ხოლო მისი მეფობა, ორმოც-

დარვა წელს გრძელდებოდა. მის სამეფოში შედიოდა არაბეთის ერაყი, ბასრა, დიარბექრი, საქართველოდან — დად ელი, ძულ-ყადარის ქვეყანა,<sup>96</sup> ოლაბი, სიჩია, ეგვიპტე, ყარამანი, თექვილი, ანატოლია, რომელიც სივასისა და თუყათისაგან შედგება; მაღრიბში — ტრიპოლისი, ჯაზირე, ჰეგაზი, იამანი, ადენი, ყათა, და სტამბოლიდან ციხე ბეჩამდე მის მფლობელობაში იყო. როცა ეს უდიდესი ამბავი (სულთნის სიკვდილი) მოხდა, მოპამედ ფაშამ<sup>97</sup> დამალა მისი გარდაცვალება, ხოლო [სულეიმანის] გვამი ფარულად სტამბოლს წაიღო და სუნის წესის მიხედვით დამარხა იმ საძვალე-ში, რომელიც ამისათვის იყო აგვებული.

სულთან სელიმი ელვისა და ქარის მსგავსად ადრიანოპოლისაკენ წავიდა, სტამბოლს რომ მივიდა, ხუტბა თავის სახელზე თქვა და განაგრძო გზა. ურდოს რომ მიაღწია, ჯარის უმრავლესობა საჩქაროდ გამოემართა მის შესახვედრად. როცა სულთან სელიმი შეზედა ჯარს, გამოაცხადეს სულთან სულეიმანის გარდაცვალება და სულთან სელიმიც ადრიანოპოლს დაბრუნდა.

ამათი გვარიდან ცამეტი კაცი მეფობდა: სულთან ოსმანი, ურხანი, მურად დაზი, ილდირიმ ბაიზიდი, ამირ სულეიმანი, მუსა ჩელები, სულთან მოპამედი, სულთან მურადი, სულთან მოპამედი, სულთან ბაიზიდი, სულთან სელიმი, სულთან სულეიმანი, სულთან სელიმი. მათი მეფობა გრძელდება ამჟამამდე, ჰიჯრის 980 წლამდე, 291 წელი.

### ცხრაას სამოცდაოხუთმეტი (1567/8) წლის ამბეჭი

ამ წელს ლუარსაბ ქართველის შვილმა სამონ-ბეგმა შეაგროვა ურიცხევი ცხეხოსანი და ქვეითი ჯარი და თბილისზე გაემართა. ეს ამბავი რომ იმ ქვეყანაში გავრცელდა, ლუარსაბის შვილი დავით-ბეგი, რომელიც ქვეყნის საფარველი შაჰის მიერ იყო იმ ქალაქის ჰაქიმიდ დაყენებული, ჯავშნოსანი მეომრების რაზმით თავისი ძმის წინააღმდეგ ქალაქიდან გამოვიდა და ომისა და ბრძოლისათვის მოემზადა. როცა მწყობრი [მოწინააღმდეგებისა] ერთმანეთს მიუახლოვდა, იბრაჟიმ ხალიფე ყარამანი, თავისი დიდი უკიცობისა და სისულელის გამო, ცოტა ხალხით სიმონთან საომრად გაემართა. რამდენიც არ უშაალეს მას დავით-ბეგმა და დანარჩენებმა, რომ მცირე ლაშქრით იმ გზადაკარგული ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა უგუნურება იყო, მან ეს რჩევა არ მიიღო და მათი (ქართველების) ჯარის ცენტრს შეუტია. ის მოკლულ იქნა აზნაურების მიერ. დავით-ბეგის მსახურ-მხლებლებმა ასტერეს კვირილი: „ჩვენ დღეს ძალა არ შეგვწევს გოლიათთან და მის ჯარებთან ბრძოლისა!“ — და მათი უმრავლესობა ბრძანებას არ დაემორჩილა. დავით-

ბეგი იძულებული შეიქნა გაქცევის გზა აერჩია და თბილისში დაბრუნდა. მან ხელმეორედ შეკრიბა ჭარი და ჰოსამ-ბეგ ყარამანისთან ერთად ბრძოლის ველს მიაშურა, ბევრი ბრძოლისა და ცდის შემდეგ დამარცხდა და თბილისის ციხეს შეაფარა თავი. სიმონმა ციხეს ალეა შემოარტყა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნების დაფლაცს შემოკრა და თავის ქვეყანაში წავიდა<sup>98</sup>.

### თხრობა ცხრაას სამოცდათექვსმეტი (1568/9) წლის ამბებისა

შაპის მიერ ჭარის გაგზავნა საქართველოში და სიმონის ტყველ ჩავარდნა

რადგან საქართველოს ვალიმ სიმონმა ვეშმარიტ გზას გადაუხვია, იწყო სახელმწიფო საზღვრებსა და გზებზე თავდასხმა და ქალაქი თბილისი,

ლექსი: რომლის ბალებში მუდამ არის ვარდები,  
მთებში კი ჰყვავის ტიტა და სუმბული,

რომელსაც მშვენიერი ზომიერი პავა აქვს და მიმზიდველი მდელოები, საღაც არ არსებობს არავითარი შეშფოთება, გარდა იმისა, რაც მეგობრის კულულებში ხდება, საღაც არ არის არავითარი სწერა. ულება, გარდა იმისა, ორმელსაც იწვევს საყვარელი არსების შემოხედვა; მის ველებზე ქრის ნაზი სიო და გრილი ქარი და გაზაფხულზე მისი მთების მწვერვალებზე ბრძენი განდეგილების ტაძართა აყიყის<sup>99</sup> კანდელებივით ელვარებენ ტიტები.

ლექსი: ტიტა მისგან ლამპარივით ბრწყინავს,  
მაგრამ მასზე დარღით გულს დაღი სვია.

მისი არხებისა და წყაროების წყალი ზამზამის<sup>100</sup> და ქოუსარის<sup>101</sup> წყალსავით სასამოვნო და გჯრიელია, მისი ქარი იესოს სუნთქვასავით მაცოცხლებელი და სულის ჩამდგმელია. ხოლო წყალი ქოუსარის წყაროსავით დარღის გამქარვებელი და მცურნავი.

[თბილისი] ძლიერ დარბია და იმ ქვეუნის მცხოვრებნი დიდი და პატარა, გათელა და მოსპოე — ამიტომ გამოვიდა ბრძანება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, ზომ შამხალ-ბეგ ჩერქესს, იბრაჟიმ ხალიფე ალფავათს და ალი-ყული-ბეგ ყაჯარს დავით-ბეგთან ერთად გაელაშქრათ საქართველოზე, დაეჭირათ სიმონ-ბეგი და შაპის კარზე გამოეგზავნათ.

მალალმა აშირებმა დიდ და მრავალრიცხვანი ჭარით ლაშქრობის დროშები საქართველოსაკენ გაშალეს. ერთი გზა რომ გაიარეს, იმ ქვეყანაში ჩამოხდნენ. სიმონ-ბეგი. რომელსაც „გათელილი ჰქონდა სიფრთხილის გზა“, გამაგრდა მალალ მთებში, რომლებიც

ლურჯ ცას ექიშპებოდნენ სიმაღლეში და დემავენდის მთას ეჭიბ-რებოდნენ სიმაგრეში.

დიდებული ღაზიები საბედისწერო რისხვასავით გაემართნენ იმ მაგარი მთისაკენ. ურწმუნებმაც ჭიდილსა და ხოცვას მიმართეს. ღაზიებმა ზელი იყრეს შშვილდასა და ისარზე დაბრძოლის ცეცხლა გააჩალეს ისრები—ფრთამალი ფრინველები, რომელთაც მტრის სისხლის წყურვილის გამო პირი ჰქონდა დაღებული, წყალს არ სვამდნენ, თუ არა ვოწინააღმდეგის თვალებიდან, სხოლო მშვილდებს—ყორნებს, რომელიც კუნტულებში ელოდებოდნენ ხელსაყრელოს, ბუდეში სხვა საჭმელი არ მიჰქონდათ, გარდა ურწმუნოთა გვამებისა.

ამ ღრის სიმონმა, უკიდურესი სიამაყის გამო, ქლევამოსილ ლაშქარს შეუტია მცირერიცხოვანი [რაზმით]. მან ერთი ღაზი მოჰკულა, მაგრამ ერთმა გამზედავმა კაცმა ის დიდების ცხენიდან დამცირების მიწაზე გაღმოაგდო და დაიკირა<sup>102</sup>. ურწმუნოები გაიქცნენ. მხლებელ-მსახურები ზოგი მოკლეს, ზოგიც ტყვედ ჩავარდა.

როცა ლეთის განვებითა და უსახლვრო ქველი შემწეობით შეჭირვების წყვდიადი განდევნილ იქნა ცხოვრების უურცლებიღან და მცდარობისაგან მიყენებული მწუხარების უანგი გულის სარეიდან გადაიწმინდა, დიდებული ამირები საქართველოზე ლაშქრობიდან დაბრუნდნენ და სიმონი შაპის კარზე გაგზავნეს.

### ცხრაას ოთხოცდაორი (1574/5) წლის ამბები

გარდაცვალებანი  
გარდაცვალება ლევან გიორგის ძისა, რომელიც  
საქართველოს ვალი იყო

დიდი ხნის განმავლობაში გზადაბნეული მიმოქცეოდა იგი ცოდვისა და უკანონობის უდაბნოში. ამ 982 წელს გარდაიცვალა და ქაიხოსრო, ლევანის ძის გიორგის შვილი, მართველობის ხალიჩაზე დაჭდა. ალექსანდრემ, ქაიხოსროს შვილმა, ყაზახში შეავარა თავი. ქაიხოსრო სხვა აზნაურებთან ერთად ყაზახისკენ გაემართა. ალექსანდრე ჯავშნოსანი ჯარით დაიძრა იმ უბედურ ხალხზე და ეს ორი შურისმაძიებელი ლაშქარი ერთმანეთს შეხვდა. მამაცობის მახვილი იძრეს და მათ შორის სამარცხვინო ომი გაიმართა. ქაიხოსრო მოიკლა ამ ბრძოლაში. ალექსანდრე მამის ნაცვლად დამკვიდრდა სამეფო ტახტზე<sup>103</sup> და თვისი მსახურნი გაგზავნა რჯულის საფარველი შაპის კარზე—თქვენი მონა ვარო. მისმა უდიდებულესობამ სეიდ მა სუმ-ბეგ სეფვევი გაგზავნა ხალათით, თაჭით, სარტყელითა და ოქროსუნავირიანი ცხენით და საქართველოს მართველობა მას (ალექსანდრეს) უწყალობა.

ঢ়েনোষ্টগ্নেৰী জাইতুল্লো  
তাৰুণ্যমানোৰাত্ৰিক

1 մոնղոլ օլխանտա Սաხելմիջուռուս դաշլուս Շեմდեց, հայ 1336—1353 წլեցն Մորուս մոելա, օլխանտա պատուլ Ծյորութորունց համբանում քամույսութեղելու Սաხելմիջուռ Շեոյմենա — հիօնանունտա, խալասիրունտա, յորդեցնուս (աճ, յարդեցնուս), եցրծելահեցնուս, մոխագունտա դա և այլն.

Արածետուս յրազնու Քարմոյմենուլ խալասիրունտա Սահելմիջուռուս (1340—1410) քամասիրսեցնուլու ոչոր խալասիրտա մոնղոլուրու Ծորմիս մշտական Ֆասան ծառարաց (ըօլու), հոմելմաց և սուլտնուս վրաց-ծառաց մոուլու. խալասիրունտա Սահելմիջուռուս քամայալայի ծառացագու ոչոր. և սուլտան Շահազադուս գրուս (1356—1375) խալասիրունցեցնուս անցրածանուց քամայացնու ամոյրութան մատ Սամցլութելուրուս Շեալցենդա արածետուս յրազնու, ոհանուս յրազնու ըօլու նախուլու, յուրտուսըրանու, անցրածանուց քամայացնու և սոմեցետու. Սաբաթու յալայեցնու ոչոր ծառացագու դա տապ-րունու.

Ամերդ խալասիրու (1382—1410) խալասիրունտա գոնասէրուս Շահական վարման գունդա վարման վարման վարման վարման. Եղմուր լունցուս սրացուցնուս Շեմուշ-զուս լունուս ոչոր գայիլու դա տազու Շեացարա յացութիւս և սուրուս սուլտանս, հոմելմաց Սամցիրութիւնու գամոյշերա ամերդու. Եղմուր լունցուս սոյզագունուս Շեմդեց, 1406 წելս, սուլտանու ամերդու յրազնու գունդա դա ալագունա խալասիրունտա Սահելմիջուռու. Թալլու յու անցրածանուց գոյացա (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, Сборник статей по истории Азербайджана, I, Баку, 1949, գլ. 156—157; Н. В. Пигулевская и др. История Ирана, Л., 1958, գլ. 216—221, 232).

2 Ցյու օձրաձնու — Շորզանշանցնու օձրաձնու I (1382—1417), Շումեմդեցնու Շորզանշանցնուս լուրծենդուլու գոնասէրուս (1382—1538).

Օձրաձնու 1 լուրծալուրու եանուս անցրածանուս յրտ-յրտու գամոհենուլու Սահելմիջուռու մոլազարա. Ոչոր յերացուուլու օլովիշուռ օձրաձնու աշունցանց Մորչանուս լամույսութեղելուրուն. Օձրաձնու ժամանականու Սահոյշիրեցնու յաելլա Եղմուր լունցուս, մորհիուլու գամուցեալա մաս և սուսելուսմուրու Շեմուշացնուսացան օծենա

შირვანი. ამის შემდეგ შირვანის ლაშქარმა რამდენიმეგერ მიიღო მონაწილეობა თემურის ლაშქრობებში (И. П. Петрушевский, Великий патриот ширваншах Ибрагим, Баку, 1942; И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, 83—154—156; А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, Баку, 1956, გვ. 383—398).

3 მიზნების ცნობით, შირვანშაჲ იბრაჲიმის ვაჲს გაიუბარსი (گیورت) ჩემევია (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в., გვ. 158—159).

4 ყარა-იუსუფი (1410 — 1420) — ყარა-ყოიუნლუს ანუ შავ-ბატქნიან თურქმანთა სახელმწიფოს დამაარსებელი. ყარა-იუსუფი მეთაური იყო ოლუზურ-თურქმანული წარმოშობის ბაჲარლუს ტომისა, რომელიც XIII საუკუნიდან მომთაბარეობდა აზერბაიჯანში, სომხეთსა და ერაყში. თემურ-ლენგის შემოსევების დროს ყარა-იუსუფი სულთან აჰმედ გალაირთან ერთად გაიქცა სირიაში, სადაც ორივენი ტკვედ იყვნენ 1406 წლამდე. საპურობილიდან თავდახსნილმა ყარა-იუსუფმა დიდი ლაშქარი შეაგროვა და დაეხმარა ავნედს ჯერ არაბეთის ერაყის, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანის დაბრუნებაში. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ტერიტორია გაიწმინდა თემურიანთა ლაშქრისაგან, აჰმედს აღარ სჭირდებოდა ყარა-იუსუფთან მოკავშირეობა და მალე მათ შორის წინააღმდეგობამ იჩინა თავი.

1410 წელს აჰმედმა ისარგებლა იმით, რომ ყარა-იუსუფი თეთრბატქნიან თურქმანებთან ბრძოლით იყო დაკავებული, დაარღვია შეთანხმება და თავრიზი დაიკავა. მანვე, როგორც ჰასან რუმლუ აღნიშნავს, დაბმარება სთხოვა შირვანშაჲ იბრაჲიმს. რამდენადაც ჭალაირიანთა სახელმწიფო იმ დროს არ წარმოადგენდა შირვანისათვის საშიშ ძალას, იბრაჲიმმა გადაწყვიტა დახმარებოდა აჰმედს და ხელი შეეშალა შავბატქნიან თურქმანთა კიდევ უფრო მეტი გაძლიერებისათვის. მან თავისი შვილი მიაშველა ლაშქრით ჭალაირიანთა მბრძანებელს.

ყარა-იუსუფმა რომ შეიტყო თავრიზში მომხდარი ამბები, სასწრაფოდ გამობრუნდა. შირვანელთა მაშველ ჭარს მიასწრო აზერბაიჯანში, 1410 წ. 30 აგვისტოს თავრიზის მახლობლად, შაშბ-ე ყაზანიში სასტიკად დაამარცხა აჰმედი და ბოლო მოულო ჭალაირიანთა სახელმწიფოს.

მხოლოდ ამ ბრძოლის შემდეგ მოადგა თავრიზს შირვანელთა ლაშქარი გოუპარ-შაპის (ან გაუმარსის) მეთაურობით, რომელიც ტკვედ ჩაიგდო ყარა-იუსუფმა (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в. გვ. 156—159).

5 იგულისხმება სულთანი აშმედ ჯალაირი.

6 არსებობს ცნობა, რომ ჯერ კიდევ სირიაში ყოფნის დროს სულთანი აშმედი შეპირებია ყარა-იუსუფს, რომ თუ საპყრობილებან თავს დაალწევდნენ და წარმატებას მოიპოვებდნენ, სამხრეთ აზერბაიჯანს მას გადასცემდა სამართავად, თვითონ კი არაბეთის ერაყს დაიტოვებდა ბალდადითურთ. ამიტომაც ყარა-იუსუფი თავის თავს თავრიზის ვალის უწოდებს, ხოლო აშმედს — ბალდადის ჰაქიმს (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в. гл. 158; Дж. Ибрагимов, Феодальные государства на территории Азербайджана XV века, Баку, 1962, гл. 27—28).

7 ყარა-იუსუფი მეტისმეტად ლმობიერად მოექცა გოუჟარ-ჟაპს და ყოველგვარი გამოსასყიდისა და პირობის გარეშე გაათავისუფლა. გოუჟარ-ჟაპის ახეთმა უეცარმა დატყვევებამ და კიდევ უფრო მოულოდნელმა გათავისუფლებამ ეჭვი აღუძრა იბრაჰიმის, შვილი ჩემს წინააღმდეგ ხომ არ შეუთანხმდა ყარა-იუსუფს, რის გამოც მან სიკვდილით დაასჯვინა გოუჟარ-ჟაპი (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в. гл. 159).

8 კონსტანტინე I (1407—1412), ალექსანდრე I-ის მამა.

9 ჰაქის დამოუკიდებელ ფერადალურ სამთავროს XIV ს-ის მიწურულსა და XV ს-ის პირველ ნახევარში განაგებდა ორლათთა ღინასტია, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი სიდი ჰაშს ედუინ ალი თემურ ლენგის ლაშქართან ალინგის ციხის მახლობლად გამართულ ბრძოლაში დაიღუპა. 1398 წელს შირვანშაჳ იბრაჰიმის შუამდგრმლობით თემურმა ჰაქი დალუბული სიდი ალის შვილს სიდი აშმედს მისცა (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в. гл. 184).

10 ჰამი ანუ ჰამბი ადგილია თავრიზის დასავლეთით. ილხანმა ყაზანმა (1295—1304), რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა საჟალექ მშენებლობას, აქ ააგო მთელი სისტემა საქველმოქმედო დაწესებულებებისა, რომელთა შუაში ილხანის აკლდამა იყო აღმართული. ცოტა ხნის შემდეგ ილხანმა ამ აღგილს საფუძველი ჩაუყარა ახალ ქალაქს, რომელსაც ყაზანიე უწოდა სახელად. (ჩ. კიკნაძე, ქალაქები ილხანთა ისახში. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 186—187). მშენებლობა ამ ქალაქისა. ისევე როგორც მონღოლთა მიერ დაარსებული ბევრი სხვა ქალაქისაც, არ დამთავრებულა, მაგრამ სახელშოდება „ჰამბ-ე ყაზანი“ შერჩა ამ აღგილს.

ჰასან რუმლუს ცნობა ყარა-იუსუფის ჰამბ-ე ყაზანისაკენ წასვლის შესახებ არ უნდა იყოს ზუსტი. ჰავბატკნიან თურქმანთა

լա՛մյա՞րո Շամեց-յ յածանուսակցեն յո առ Բասովա, հռմելուց տաշրինուն լասացլետու մեջեահրեոնք և ուայբուրագ մուս զարյացնան Շեագցենք, ահամեց հիմունուտու, յահածալուսայցն լասդիրա.

հռցորիւ նեմու լոյզը ուղյա, Շամեց-յ յածանուստան յարա-ուսսպացմա աշմեց խալաօրու օամահրցեա. Քասան հռմլուս տեխուլեցնան ամ ծրամունու Միշեանց սայրտու ահատյերու նատյամո. յարճա ամուսա, իցնեն ազբորիս աղնունուլու ահա այցէ օձրաձոմուսա և մուսո ծոյաց-Շորյեցնուն յարա-ուսսպացու წոնաալմաց յալա՛մյեցնուն մոնչենու և օսոնո յամունպազ ամ ծրամունու օնուցուարուեցնագ. նամզուլագ յո յարա-ուսսպացմա համարնումեցյար մոստեռու Շորյան՛Շաքն, սիրմուլուց-լագ լամեցնուո, և ծոլուս օասդիրա յուղը մուս քասամորիհու-լութլագ.

11 ծածա քաջո յազերճու յարա-ուսսպացու ծցունու մուցելու ոսո. մասց մուցեմուլո Ֆյոնու սոուրլալագ յազերճու լունց և 600 սոուրլո սանաց-սատյու մովցնուո (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в., гл. 189; И. П. Петрушевский, Очерки из истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, гл. 148).

12 Տեսահուլ Ծյէլսթմու — فوطة — „ფუთա“, հապ ացրյուզ ածանուն սամեար წոնսատյան և եղլսաթմենցնու նոմնաց (Յ. Ուստու-Հոնուն Շենուշեն).

13 յածանուարու, ասացուլաձու, եալուլուլաձու (մոմացալու Շորյան-Շաքն), մանսիսիրու, ամգ առ-հաձմանու, նասրուլաձու և Ֆանցիուն օձրա-ձոմուն Շզուլցնու ոյցնեն. Սեցա Ծյահրուեցնու մոեսենոյեցնու ացրյուզ Շորյան՛Շաքնուն մուն ծաձլուլու. մորեանցու ոյաօւարուն յագուն նացվագ, ծասանցնուն յագուն անսենցնու (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в., гл. 160).

14 ոյու-ծոյլացու յարա-ուսսպացու յայու ոսո.

15 յոմնըսթունցնուստան յրտագ ուրիշմանցնու լայեալու ացրյու-ց մուսու մեցնու (ան մմա) և սամասու յարտուցը աննայրու (ամգ առ-հրենաց սամահյանցնու. Շերյու-եան ծոտլուսու).

այցը լոնճա Շյեցնունու, հռմ Քասան հռմլուս, հռմլուն տեհրո-ծա ամ Շեմտեցցանու սեցա Ծյահրու մոեսաւումենու յմպարցա, սիրմունա առա այցէ մուցեմուլո աղնիրուլու ամեցնուն տարուլուն. յերճու, հռ-ցորիւ աղցնունեց, յարա-ուսսպացուն և աշմեց խալաօրուն ծրամուն 1410 Ծյելս մոելա, եռլու ոմու յարա-յուունլուս սանուլմիուցուն շերմանցնուելուն և ամոյերյացասուն մեցու-մտացարտա Շորուն 1412 Ծյունուն ենոյմեցնու յամարտա. Քասան հռմլուս յարճա ամ ոմուն Միշեա-նցնու լոնքեցնու մոյեմուցը յատյուն յանձնահրելս, ամգ առ-հրենաց

სამარყანდის, შერეფ-ხან ბითლისის, მუნეჯიმ-ბაშის (იხ. ი. ა ბ უ ლ-ა ძ ე. მათეოს განძასარელის ცნობა მეფე კონსტანტინეს შესახებ, „ენიმკის მოამბე“, V—VI, თბ., 1940; რ. კიკნა ძ ე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო მეგობრობის ისტორი-იდან, თსუ შრომები, ტ. 108, 1964).

16 შეიხ ახი ყასაბის თაოსნობით თავრიზელ ვაჭარ-ხელო-სანთა გაერთიანებების მეთაურებმა, რომელთა შორის შირვანშაჰი იბრაჰიმი გარკვეული სიმპათიით სარგებლობდა, თავს იღვეს ყარა-იუსუფის მიერ მოთხოვნილი გამოსასყიდის გადახდა იმ პირო-ბით. თუ იგი დათანხმდებოდა ნალდი ფულის ნაცვლად საქონლის მიღებაზე, ყარა-იუსუფის თანხმობის მიღების შემდეგ თავრიზე-ლებმა 1200 თუმნის ლირებულების საქონელი შეიტანეს ყარა-იუსუფის ხაზინაში. სამაგიროდ კი მიიღეს ბარათები, რომლის ჭაფუქველზე შირვანის საგადასახადო სახსრებიდან უნდა აელოთ აღნიშნული თანხა (И. П. Петрушевский, Государства Азер-байджана в XV веке, გვ. 161).

17 აყ-უოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს მბრძანებელი ჰასან-ბეგი ანუ უზუნ-ჰასანი („გრძელი ჰასანი“). წყაროების ცნო-ბით, თურქულად მას ჰასან-თევილი რქმევია, სპარსულად — ჰასან-დერაზი, ხოლო აზერბაიჯანულად უზუნ-ჰასანი (Дж. Ибра-гимов, Феодальные государства на территории Азербайджана XV века, გვ. 35). „გრძელი ჰასან-ბეგი, რომ უზუნ-ჰასანს ეძა-ხიან“ — შენიშვნას ფარსადან გორგიჯანიძე (ს. კავაბაძის გამოც., 1925, გვ. 209).

აყ-უოიუნლუს ანუ თეთრბატკნიან თურქმანთა ტოშები მდი-ნარე ტიგროსის ზემო წელსა და ღიარბეგი-სივასის მიღამოებში მომთაბარეობდნენ. ყარა-უოიუნლუსა და აყ-უოიუნლუს თურქმან-თა გაერთიანებანი ერთმანეთს მტრობდნენ და ხშირად ებრძოდნენ. 1467 წელს აყ-უოიუნლუს ლაშქარმა სამხრეთ სომხეთში გაანად-გურა ყარა-უოიუნლუს რაზმები და ბოლო მოულო მათ სახელმწი-ფოს. მომდევნო. 1468 წლის გაზაფხულზე უზუნ-ჰასანმა აზერბაი-ჯანიც დაიკავა და თავრიზი თავის სატახტო ქალაქიდ გამოაცხადა. ამიერიდან თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს (1468—1501) შემაღებელობაში შედიოდა მთელი დასავლეთი ირანი, სომხეთ-ქურთისტანის მთიანეთი, არაბეთის ერაყი, აზერბაიჯანი მდ. მტკვრამდე.

აყ-უოიუნლუს სახელმწიფოს მბრძანებლები ფალიშაჰის წო-დებულებასაც ატარებდნენ.

18. უზუნ-ჰასანმა რამდენიმე მარბილი ლაშქრობა მოაწყო საქართველოში. 1477 წ. შემოსევის შესახებ ვრცელი ცნობები მო-

ებოვებათ XV საუკუნის იტალიელ მოგზაურებს ბარბაროსა და ან-ჯოლელოს, რომელიც თან აწლდნენ თურქმანთა ლაშქარს (დაწვ-რილებით ამ შემოსევის შესახებ იხ. ივ. გვ. ავა ხ. შვილი, ქარ-თველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 119—125; რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის შეორე ნახევარში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1964, გვ. 116—122).

19 აუ-ყორუნლუს სახელმწიფოს მბრძანებელი იაყუბი (1487—1492).

XV საუკუნის ისტორიის ფადლალაჲ იბნ რუზბეჰპანი მო-გვითხრობს, რომ 881 (1476/7) წელს საქართველოში ლაშქრობის შემდეგ უზუნ-ჰასანი შეუძლოდ შეიქნა და მალე გარდაიცვალა (1478 წ. 5 იანვარს). ამავე ავტორის ცნობით, მას ხუთი ვაჟი დარ-ჩენია: სულთან-ხალილი, ყიას ედ-დინ მაყსუდი, იაყუბი, იუსუფ-ბაჰადური და მასიმ-მირზა. მათგან მამამ მესამე შეილი იაყუბი დანიშნა თავის მემკვიდრეოდ. მაგრამ ჰასანის სიკვდილის შემდეგ უფროსმა ძმამ ხალილმა მიიტაცა ტახტი და მოაკვლევინა მაყსუდი (ფადლალაჲ იბნ რუზბეჰპანი, თარიხი-ე ალამ-არა-იე ამინი, ინგლი-სური თარგმანი ვ. მინო რსკისა, ლონდონი, 1957, გვ. 25—26; რ. კიკნაძე, ფადლალაჲ იბნ რუზბეჰპანის „თარიხე ალამ-არა-იე ამინი“, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 282—283). ხალილმა მხოლოდ ნახევარ წელს გასძლო ტახტებ. იმავე 1478 წელს მას აუგანყდა იაყუბი, რომელიც ხალი-ლმა დიარბექრის გამგებლად დანიშნა. ბაიანდურისა და მოვსი-ლუს მომთაბარე ტომთა დახმარებით იაყუბმა ხოისთან დაამარცხა სულთან-ხალილი, მოაკვლევინა ის და თვითონ დაიკავა აუ-ყორუნ-ლუს სახელმწიფოს მბრძანებლის ტახტი (შდრ. ქართლის კხოვ-რება, II: „ქმნა ლერთმან და მოყუდა ყაენი უზუნ-ასან და მიიღო პატრიონობა ძემან მისმან სულთანმან, და მა მისი იალუბ ეშურე-ბოლა მიღებად პატრიონობას“. გვ. 479).

20 სპარსულ ტექსტშია — میام اهـ؛ თეთრბატქნიან თურქ-მანთა საქართველოში ამ ლაშქრობის ვრცელი ალწერილობა პოე-პოვება აგრეთვე ფიდლალაჲ იბნ რუზბეჰპანს, რომელიც აღნიშნავს, რომ თურქმანთა ლაშქარმა რამაზანის (ე. ი. მარხვის) თვეში მიაღ-წია საქართველოს (თარიხი-ე ამინი, გვ. 51).

21 „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ახალციხის ალების აშბავი მოკლედ არის გადმოცემული: „მოადგეს ციხესა ახალციხესა, ბრძოლებს დიდხანს და ვერლარა დაუდგნა სიმაგრემან, გატეხეს და დაწვეს ქალაქი და დაიძყრეს ჭელთა მესხნი დარბაისელნი ციხო-

ვანნი” (ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხეჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 343. იხ. აგრძელებე გვ. 482).

ბევრად უფრო ვრცლად მოვითხობს ანალიზის აღების შესახებ იბნ რუზბეგანი (იხ. ჩ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 124—125).

22-ჰასან რუმლუც და იბნ რუზბეგპანიც იხსენიებენ „ხათუნის ციხეს“ (قلعه خاتون). იბნ რუზბეგპანის სიტყვით, ამ ციხეს, რომელიც ისეთი მტკიცე იყო, რომ აქმდე ვერცერთ ხელმწიფეს ვერ მოეხერხებინა მისი აღება, ქართველი დედოფლების განძის შესანახად იყენებდნენ ხოლმე. იმ დროს აწყურის ციხეში ყვარყვარე ათაბაგის (ყვარყვარე II, 1451 — 1498) მეუღლის (დედისიმედის) ქონება ყოფილა დაცული (თარიხ-ე ამინი, გვ. 52).

23 „მერმე აიყარნეს და მოადგნეს ციხესა და ქალაქსა აწყურისასა და მოწუეს აწყურერი და მოაკრეს ქალაქი და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წასვლა ინებეს.

მაშინ ეზრახეს ციხოვანთა და უქადეს შშკდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა. ამას ზედან გამოენდვნეს, შესცოგნ მცველნი იგი ციხისანი და მაწყურელი და მას თანა სხუანიცა ჩინებულნი განიხრახნეს, ალიხუნეს კლიტენი ციხისანი და თვინიერ თხოვისა და ბრძოლისა უღმრთოსა მას მთავარსა შიართუეს“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 343; შირ. გვ. 482).

ფადლალაჭ იბნ რუზბეგპანი რამდენადმე უფრო ვრცლად აღწერს აწყურის ციხის აღებას. ციხის განძეულში აღმოჩნდა თურმელალის თვლები, რომელთა ფასი, ავტორის სიტყვით, ერთი ქვეყნის ხარაჭის უდრიდა (თარიხ-ე ამინი, გვ. 53).

24 ۲۴-نعل؛ ნა'լ-ბაპა، როგორც ა. ალი-ზადე შენიშნავს, ნალის შესაძენად განკუთვნილი გამოსალები იყო, რომელიც განსაკუთრებით ყოფილი გავრცელებული მონალოლთა შემოსევების წინარე ხანაში, მაგრამ მომდევნო საუკუნეებშიც ხდებოდა მისი აღება. ვასალურ დამკიდებულებაში მყოფი ფეოდალის ტერიტორიაზე ხანის ან ამირას ლაშქრის გავლის დროს ფეოდალი ვალდებული იყო მიერთმია მისთვის საქმაოდ დიდი თანხა და სხვადასხვა ნივთები (A. A. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв. გვ. 248—249).

რა თქმა უნდა; ამ გადასახადის, რომლის რაოდენობა, როგორც ჰასან რუმლუს ცნობიდანც ჩანს, საქმაოდ დიდი ყოფილა, აღარაფერი ჰქონდა საერთო ნალის ღირებულებასთან და წარმოადგენდა იძულებით მისართმეველს, ფეშქაშს, რომელიც დამკიდებულ გამგებელს უნდა გაემჟადებინა ხელმწიფისათვის.

ჩვენ ეს ტერმინი ზოგადად „ფეხის ქირალ“ გვაქვს თარგმნილი (იხ. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორია და XV საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 126).

25 ვასტუშტი ბაგრატიონი და „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე.წ. მესამე ტექსტის ავტორი იაყუბ-ფადიშაპის ამ ლაშქრობას 1486 წლით თარიღდება. ამავე თარიღს იზიარებენ ივ. ჯავახიშვილი და ვ. მინორსკი. ჰასან რუმლუ, როგორც ვნახეთ, 1483 წლის ამბებში აღწერს ამ ლაშქრობას. ასეთ აღრეულ თარიღს 1486 წლით შედარებით გარევეული უპირატესობა გააჩნია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია (დაწვრილებით იხ. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორია და XV საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 126—127).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იაყუბ-ფადიშაპის საქართველოში პირველი ლაშქრობის აღწერის დროს ჰასან რუმლუს, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონია ფალლალაპ იბნ რუზბეგანის „თარიხ-ე ალამ-არა-იე ამინი“.

26 სულთან ჰეიდარ სეფევი (1456—1488) — გამგებელი არ-დებილის ფეოდალური სამთავროსი, რომელსაც სეფიანთა საგვარეულო ედგა სათავეში. ეს გვარი, რომელსაც სათავე დაუდო ცნობილმა შეიქმა სეფი ედ-დინ ისპაჟმა (1252—1334), განსაკუთრებით დაწინაურდა ირანში XIII—XIV სს-ში. სეფიანები სუფიურ-დერვიშული ორდენის სეფევიეს მემკვიდრეობითი შეიხები იყვნენ. მათ ბევრი მიმდევარი ჰყავდათ და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ.

XV საუკუნეში სეფიანთა მთავარი საყრდენი გახდა აზერბაიჯანულ ენაზე მოლაპარაკე თურქული მოდგმის შვილი მომთაბარე ტომი: შამლუ. რუმლუ, უსთავლუ, თაქალუ; ავშარი, ყაჯარი, ძულ-ყადარი. ეს ტომები, რომელთა რაოდენობა შემდეგში მნიშვნელოვნად გაიზარდა, სეფიანი შეიხების „მურიდებალ“, „დერვიშებალ“ და „სუფიებალ“ იწოდებოდნენ, სინამდვილეში კი ფეოდალური ლაშქრის ბირთვს შეადგენდნენ.

უკვე XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში სეფიანები ისლამის შიიტური მიმდინარეობის მიმდევარნი იყვნენ. შეის ჰეიდარის განკარგულებით სეფიანთა მომხრე მომთაბარე ტომთა მეომრები თორმეტი შიიტური იმამის პატივსაცემად 12 წთელი ნაკეცისაგან შემდგარ ჩალმას ატარებდნენ, რის გამოც მათ ყიზილბაშები („წითელთავიანები“) ეწოდათ.

ყიზილბაშურ ტომებზე დაყრდნობით არდებილის შეიხები ჯუნეიდი (1447—1456) და ჰეიდარი ცდილობდნენ ფართო დაპყრობითი პოლიტიკა ეწარმოებინათ. ამასთან ერთად, „სალვო

ომის” სახელით ისინი ხშირად აწყობდნენ მარბიელ ლაშქრობებს მეზობელ ქრისტიანულ ქვიყნებში (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в., гл. 201—208; История Ирана, гл. 251, 252; О. А. Эфендиев, Образование азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века, Баку, 1961, гл. 60—73).

27 ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის ცნობით, როდესაც უზუნ-ჰასანმა თბილისი აიღო 1477 წელს, თავრიზს დაბრუნების წინ მან ამირა ხალილ-ბეგ ბეგთაში დანიშნა თბილისისა და მისი ოლქის გამგებლად (თარიხ-ე ამინი, გვ. 88). უზუნ-ჰასანის სიკვდილის შემდეგ „დააგდეს თათართა ტფილისი და სომხითი და დაიჭირა მეფემან ბაგრატ“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 342). იბნ რუზბეჰანიც აღნიშნავს: ფადიშაპის გარდაცვალების გამო შაჰზადეები თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებული და მენაბირე ამირები დახ-მარების გარეშე დარჩენა. ხალილ-ბეგმა მიატოვა საქართველო და თავრიზს დაბრუნდა. ამით ისარგებლეს ქართველებმა და დაიკავეს თბილისი (თარიხ-ე ამინი, გვ. 88—89). 1483 წელს სულთანმა ია-ყუბმა ხალილ-ბეგი თავისი ვაჟის ბაისუნყურის აღმზრდელად და-ნიშნა და შირაზის გამგებლად გაგზავნა (იქვე, გვ. 50). 1487 წელს იაყუბმა შირაზიდან გაიწვია ხალილ-ბეგი და საქართველოში გა-მოგზავნა (იქვე, გვ. 54, 89). ხალილ-ბეგი ერთ წელიწადს დარჩა საქართველოში „და იყვის ყოველთა დღეთა ომი“. ქართველებმა რამდენიმეჯერ დამარცხეს თურქმანთა რაზმები, რის შემდეგ „ადგა ხალიბეგ და სხუანი ყაენის თავადები, მივიღეს და შეეხუეწ-ნეს ყაენსა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 344, 484). ალბათ ხა-ლილის სწორედ ამ დამარცხებას უნდა გულისხმობდეს ჰასან რუმლუ. მის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით შეის ჰეი-დარმა სუფი ხალილის დასახმარებლად იაყუბის თხოვნით გაი-ლაშქრა შირვანისაკენ.

სხვა წყაროების მიხედვით, ხალილ-ბეგის დამარცხების საპა-სუხოდ იაყუბმა საკუთარი ლაშქარი გაგზავნა საქართველოში ვალი-აღა ეშიკალასის სარდლობით (თარიხ-ე ამინი, გვ. 89—91; იხ. აგ-რეთვე რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტო-რიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 127—129). შეის ჰეიდარის გალაშქრების მიზანი კი ჩერქეზთა წინააღმდეგ „სალვოთ მოის“ მოწყობა ყოფილა. 1488 წლის გაზაფხულზე მან სამისო-ნებართვა მიიღო იაყუბისაგან, არდებილიდან დაიძრა და შირვანში შევიდა. შირვანშაპმა ფარუს იასარმა (1462—1500), რომელიც მტრულად იყო განწყობილი შიიტ სეფიანთა მიმართ, გზა გადაუ-ლობა მას. სულთან იაყუბს მოსვენებას უკარგავდა შეის ჰეიდარის

զագլուհերեծ դա սյէրիուրո թռչմեղեծ է. ամուրու ման մաշվելո չարո ցանցին անշաբան 1488 թվու 9 օցանու քամարտուլ սամշագործու սասուլութեան ծրագարակութեան պահութան մասնաւունք է ամարտութեան, չեզուարո կո մույլո (տարու ամունո, ցը. 61—82).

28 սլովանդրո մայզելոնեցու.

29 սեցուանտա սաելմիուցու քամարսեծելո Շաք-օւմաուլ I (1501—1524).

Յեօւարու սուզագուլու շեմդեց ուսպան արդեծուլո դա սեցուանտա սեցա սիմպուլութեան դարցա, եռլու շետու մուրութեան մաշուլու պահութան (տարու օւսպիւլութե) դասբացա դա անդամարու սումեն մոնաստրութեան մուսացա (ցանու բանու կունճուլնե). համդենում թլու շեմդեց հուստեմ-դագութան (1492—1497), հոմելսաւ մեզու չյունդ, հոմ տացու մորոնամդեց սուլուսթեան ծրագարակու ցամուցենեց սեցունեց, բացարան ցատացու սուլուսթեան չյունդու սուզուլու դա անդեցուլուց դասբարունա սուլտան-ալու, չյունդու սուլուրու ցայս. մացրամ մալլ, սուլտան-ալու սիրացա միահրդ ցալլենու շեմինեց սուլու հուստեմ-դագութան տաց դացեսեա մաս. սուլտան-ալու ծրագարակու դաուլուն, սմաուլմա կո ցուլան շեացարա տաց. արդեծուլու օւսպ տուրիմանեց մաս օւսպուց. 1499 թւլու 13 թվու օւմաուլո ցուլանու անցրեացան դաձրունդ, հատա սատաց մի հաջորմու ցունութեան. ման օւսարցեց այ-սուունլուս սաելմիուցու ահսեծուլու թինամդեց գունեց էնամ դամարց էնա ասուրա շուրցան (1500—1501), եռլու շեմդեց ալզանդ այ-սուունլուս շեշտիա, ցանացշուրա մուսու լաշյարո, 1501 թւլու դոգու նյումու շեցու տացրութե դա տաց Շաքազ ցամուցեա (И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в., ցз. 209—210; И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках, Сборник статей по истории Азербайджана, I, ցз. 228—233; О. А. Эфендиев, Образование азербайджанского государства Сефевидов, ցз. 80—92).

30 այ համուցլունա շցունու ժորուտալո պահութան ըստու ըստագլու, Շամլու. հումլու, տայէլու, մուլ-պարարո, աշարո, պաշարո, հոմլութե սեցուանտա մտացար սայրուցն մալու թարմութեան նելուս սուլութե մուսաւու ծրագարա (ամ թոմու. թարմութեան սագաւրութե մուսաւու ծրագարա). И. П. Петрушевский, Очерки из истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., ցз. 90).

օւմաուլու մոմերու թոմու մուրու օւսենուց ացրուց զարսացու տուրիման թոմու, հոմելուց պարանու (թզ. անօա) ույտ ցագմուսուլո.

ცალკე ყიზილბაშურ ტომად ირიცხებოდნენ აგრეთვე ყარა-  
ჩაღალის (ყარაღალის) სუფიები (ანუ „ყარაღალლუს ტომი“). ყარა-  
ღალის ჰავიძები „ხალიფეს“ წოდებულებას ატარებდნენ.

31 ჩოხურ-საადი — ერევნის ოლქი.

32 მენთეშის ციხე სომხეთშია, თანამედროვე ლენინაკანის  
მახლობლად.

უთუოდ საყურადღებოა ჰასან რუმლუს ცნობა ხოლეფა-ბეგის  
სარდლობით საქართველოში მარბიელი ლაშქრის გაგზავნის შე-  
სახებ.

906 წელი, როცა ამ შემოსევას ჰასანი ადგილი, დაიწყო  
1500 წლის 28 ივლისს და დამთავრდა 1501 წლის 16 ივლისს.  
რამდენადაც ამ ლაშქრობის წინ ყიზილბაშები ბჭობდნენ იმაზე თუ  
სად გაეტარებინათ ზამთარი, საქართველოში შეპოსევა 1500 წ.  
შემოღომაზე მომხდარა.

ქართულ წყაროებში ამ შემოსევების შესახებ არაფერია  
ცნობილი.

33 1516 წელს, ათაბაგ მზეჭაბუქის გარდაცვალების შემდეგ  
სამცხის ათაბაგად გახდა მისი ძმისწული, ქაიხოსრო I-ის (1498—  
1500) ვაჟი, ყვარყვარე III (1516—1535). ტახტის მაძიებელი მა-  
ნუჩარი, რომელიც იმავე წელს აუგანყდა მას და დაამარცხა კი-  
დეც, ყვარყვარე II-ის მეექვსე ვაჟი და ყვარყვარე III-ის ბიძა  
იყო (იხ. ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასა-  
ლები, თბ., 1961, გვ. 99—101, 134—138).

34 შურაგელი ქალაქია ყარსსა და ბასიანს შორის. ფ. გორგი-  
ჯანიძე „შორეკალს“ უწოდებს (დასახ. გამოც., გვ. 213).

35 ტექსტშია — قرستول; სედონის გამოცემაში — دل قریبی دل;

36 მანუჩარის სახლთუხუცესის (ვაქილის) სახელი — اربارنیز  
აშკარად შერყვნილია ავტორის ან გადამწერთა მიერ.

37 ჰასან რუმლუს ცნობები ყვარყვარესა და მანუჩარს შო-  
რის ტახტისათვის ბრძოლის, ყვარყვარეს მიერ შაპ-ისმაილისთვის  
დახმარების თხოვნისა და დივ-სულთანის სამცხეში შემოსევის  
შესახებ 1516 წელს, ჯერჯერობით გათვალისწინებული არ ყოფი-  
ლა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

38 ოსმალეთის სულთანი სელიმ I იავზი (1512—1520).

39 და აილი (დად ელი — დადიანის ქვეყანა?) — იგულისხ-  
მება დასავლეთ და სამხრეთ საქართველო.

40 შაპ-ისმაილმა 1518 წლის ზამთარი ნახვევანში გაატარა.  
ამ დროს მის კარზე კვლავ გამოჩნდა ათაბაგი ყვარყვარე, რომე-  
ლიც როგორც ჩანს, კიდევ დაუმარცხებია მანუჩარს.

41 კახეთის მეფე ლევანი (1520—1574).

42 შაქის დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავროს პაქიმი ჰოსეინ-ბეგი ყარა-ქეშიშ ოღლის დინასტიიდან (ეს დინასტია 1444—1551 წლებში განავებდა შაქის).

ჰოსეინ-ბეგის ლევან კახთა მეფესთან ბრძოლაში დაღუპვის ამბავი ქართულ წყაროშიც არის მოთხოვნილი: „ოდეს მორჩილობდა ასან-ბეგ დევრიშ მაჰმადის მამა შაჰ-ისმაილს, მაჰინ ეს ლევან მიუჯდა ასან-ბეგს შაქის და მოკლა ასან-ბეგ, და მოარბია შაქი“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 363. შდრ. გვ. 504).

43 ტექსტში — ცენტ და კანც (ყაბრი და ყანუყი). ყაბრი მდინარე იორია, ზოლო ყანუყი — ალაზანი (შდრ. იბრაჟიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჭიქიამ, ობ., 1964, გვ. 44, 122—124).

44 ამ სოფლის (ყარი?) ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოხერხდა.

45 როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში მოხსენიებულია შაჰ-ისმაილ I-ის ორი შემოსევა საქართველოში 1518 და 1522 წლებში. ერთ-ერთი შემოსევის დროს მას თითქოს თბილისიც აუღია.

ამჟამად ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა შეხედულება, რომ თვითონ შაჰ-ისმაილი არასოდეს ყოფილა საქართველოში. ჰასან რუმლუს ცნობებიდანაც იჩვევევა, რომ ისმაილის მიერ საქართველოს დასარბევად გამოგზავნილ ლაშქარს ყოველთვის დივ-სულთან რუმლუ სარდლობდა. ამავე დროს. ჰასან რუმლუს ცნობათა საფუძველზე შესაძლებელი ხდება ამ შემოსევებთან დაკავშირებული მრავალი საყურადღებო საკითხის გარკვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცნობები დივ-სულთანის საქართველოში შემოსევათა შესახებ მოეპოვებათ XVI ს-ის სხვა სპარსულენოვან ისტორიული სახელის (ხონდებირს, ზეინ ალ-აბედინ ალის, ბულა ყაზვინის, შერეფ-ზან ბითლისის), მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ ერთმანეთში უნდა ჰქონდეთ არეული რამდენიმე სხვადასხვა ლაშქრობა. ყველ შემთხვევაში, ჰასან რუმლუს ცნობათა საფუძველზე ხერხდება ამ შემოსევების თანმიმდევრობისა და მიზეზების საკმაოდ მწყობრი სურათის აღდგენა.

1516 წ. ათაბაგ ყვარყვარე 111-ს აუგანყდა მანუჩარი, რომელმაც ტახტი წაართვა თავის ძმისწულს.

ყვარყვარემ დახმარებისათვის მიმართა შაჰ-ისმაილს, რომელმაც ლაშქარი გაგზავნა ლივ-სულთანის მეთაურობით და უბრძანა, ყველი ღონე ეხმარა სამცხიდან მანუჩარის განსაღევნად.

შეშინებული მანუჩარი ოსმალეთში გაიქცა. მან დაბმარება გამოსთხოვა სულთან სელიმ I-ს და 1518 წელს სამცხეს მოვიდა ოსმალთა ჯარის თანხლებით, რათა ყვარყვარესთვის ქვეყანა წაერთმია. ყვარყვარე სასტიკად დამარცხა ოსმალთა ჯარი.

როგორც ჩანს, ამის შემდეგ მანუჩარს კვლავ უცდია ყვარყვარესთან ბრძოლა. შესაძლებელია, მან გარკვეულ წარმატებასაც მიღალწია. ყოველ შემთხვევაში, იმავე 1518 წელს ყვარყვარე ისმაილს ეახლა და დივ-სულთანის სარდლობით გამოგზავნილ ლაშქარს საქართველოსაენ გამოუძლვა. ამჯერად დივ-სულთანს გორი და სურამი აუღია.

ამით მთავრდება საქართველოში დივ-სულთანის შემოსევების პირველი ციკლი (1516—1518 წწ.), რომელსაც, ჩვენი აზრით, არავთარი კავშირი არა აქვს იმ შემოსევასთან. ხონდებირი და სხვა ისტორიკოსები 927 (1521) წლით რომ ათარიღებენ.

